ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

# საქართველო

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სახალხო ფრონტი
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდის პარასკეობით

№ 12 (68)

28 მარტი, შაბათი, 1992 წ.

# ორი მიმართვა სურათებიანი კომენტარით

## საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს მიმართვა საქართველოს რესპუბლიკის მშრომელებისადმი:

გაზაფხული დადგა, საშურია ყოველი დღე და საათი, უნდა ავამოქმედოთ მთელი ეროვნული ენერგია და მივაშუროთ მარჩენალ მიწას, რადგან გაზაფხულის ამ დღეების ნაყოფიერად გამოყენებაზე ბევრად იქნება დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის, თითოეული ჩვენგანის მომავალი!



## ბატონ ზვიად გამსახურდიას მიმართვა ქართველი ხალხისადმი:

ამჟამად დადგა კარგი პერიოდი მიტინგებისა და დემონსტრაციების გააქტიურებისა, საპროტესტო მოძრაობის ხელახალი ძალით გაშლისა... ამის გამო უნდა ისარგებლოს ეროვნულმა მოძრაობამ, საპროტესტო მოძრაობამ და ახალი ძალით გაშალოს თავისი აქტიურობა.



ნახატები ზურაბ აფხაზაშვილისა

## საქართველოს სახალხო ფრონტის მიმართვა

### საქართველოს სახელმწიფო საბჭოსადმი

ვინაიდან საქართველოს მთელ ტერიტორიაზე კრიმინოგენური სიტუაცია მკვეთრად არის გაუარესებული, ხოლო ზოგიერთ რაიონში მდგომარეობა საერთოდ არ ექვემდებარება კონტროლს,

ვინაიდან მილიციის არსებული სტრუქტურები ვერ უზრუნველყოფენ მოსახლეობის სიცოცხლისა და უსაფრთხოების დაცვას,

ვინაიდან საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებისათვის დღევანდელი მთავრობის მიერ გვარდიისა თუ „მხედრიონის", და მათი სტატუსისათვის შეუფერებელი მილიციური ფუნქციების დაკისრება მოსახლეობის სამართლიან უკმაყოფილებასა და აღშფოთებას იწვევს,

საქართველოს სახალხო ფრონტი მიიჩნევს, რომ აუცილებელია სასწრაფოდ შემუშავდეს და სახელმწიფო საბჭოს მიერ მიღებული იქნას დადგენილება ადგილობრივი მუნიციპალური პოლიციის შექმნისა და მისი დროებითი დებულების განსაზღვრის შესახებ.

მუნიციპალური პოლიციის დაკომპლექტება ძირითადად უნდა მოხდეს ადგილობრივი კადრებით, მისი დაფინანსება კი უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ქალაქისა და რაიონების ბიუჯეტებიდან.

საქართველოს სახალხო ფრონტი მიიჩნევს, რომ ეს გადაწყვეტილება მოხსნის „იარაღით ჩამოსული ხალხის" ფსიქიკურ კომპლექსს და, ამდენად, ხელს შეუწყობს ფსიქოლოგიური კლიმატის გაუმჯობესებას ადგილებზე. ადგილობრივი პოლიციის პრაქტიკული საქმიანობა მილიციის არსებულ სტრუქტურებთან ერთად (მათ ძირეულ რეორგანიზაციამდე) მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდება დამნაშავეობასთან ბრძოლის გადაუდებელ საქმეში.

სსფ

# უნივერსიტეტის სახურავზე პროვოკატორები ისხდნენ...

საქართველოში პოლიტიკური მოძრაობის აღმავლობამ ჯერ ქუჩები და მოედნები აავსო ხალხით, მერე რესტორნები და სახინკლეები. რა აღარ მოხდა მას შემდეგ: რამდენი ადამიანის გული გაათბო ეროვნულმა გრძნობამ, რამდენი კერია გაცივდა და რამდენ შვილიშვილს მოენატრა ბებია...

მოკლედ, ჯერ იყო და, პოლიტიკოსების მთავარ პრობლემას ხალხის მიტინგებზე მიზიდვა შეადგენდა და მერე მათი სახლში შებრუნება გახდა თავსატეხი.

ამის შესახებ საკმაოდ ბევრი ითქვა, მრავალ საკითხს მიეცა გარკვეული შეფასება და ბოლოსდაბოლოს დაძაბულობა თითქოს შენელდა, თუმცა ზოგჯერ „სიმართლისათვის უშიშართა“ მცირე ჯგუფები კვლავ იკრიბებიან, როგორც Magister dixit, ანუ როგორც ექსპრეზიდენტმა და მასწავლებელმა გვიანდერძა.

ასეთ მიტინგებზე ხშირად გამოითქმის ხოლმე სამართლიანი უკმაყოფილება იმის გამო, რომ დამსჯელი რაზმების გარდა მათ ყურადღებას არავინ აქცევს. ამიტომაც 23 მარტს უნივერსიტეტის ეზოში ერთ-ერთი ასეთი თავყრილობა მოვინახულეთ.

მისვლისთანავე სწორედ ამ საკითხით აღშფოთებული სიმპათიური გოგონა აღმოჩნდა ჩვენი ყურადღების ცენრში. იგი უნივერსიტეტის ეზოს შესასვლელთან უცნობ მოქალაქეს, — რომელსაც, როგორც გაირკვა, რადიოსადგურ „თავისუფლებასთან“ ჰქონდა კონტაქტები — უსაყვედურებდა, რომ არავითარ ინფორმაციას არ აწვდიდა ამ სახელგანთქმულ რადიოსადგურს იმის შესახებ, თუ როგორ არბევენ დემონსტრანტებს „ბეტეერებით“.

ჩვენი გაზეთი, რასაკვირველია, „თავისუფლებას“ გასაგები მიზეზების გამო კონკურენციას ვერ გაუწევს, მაგრამ მაინც შევეცადეთ დიდი ყურადღებით გვედევნებინა თვალ-ყური თავყრილობისათვის.

გულსატკენი იყო, რომ მიტინგის ორგანიზატორებმა ვერა და ვერ გამოძებნეს ხმის გამაძლიერებელი საშუალება, რაც მიტინგის დაწყებას აბრკოლებდა. მეორეს მხრივ კი ისინი ერთხმად გამოხატავდნენ კმაყოფილებას, რომ ამჯერად შეიარაღებული რაზმის ნაცვლად მდგომარეობას რამდენიმე ათეული მილიციელი და პოლიციის ორი ჯავშანტრანსპორტიორი, ანუ მილიციისა და პოლიციის ერთობლივი ძალები აკონტროლებდნენ, თუმცა ერთი შეშფოთებული მანდილოსანი მაინც გაიძახოდა, რომ უნივერსიტეტის სახურავზე პროვოკატორები ისხდნენ. მის შეშფოთებას დიდი რეაქცია არ მოჰყოლია, რადგან სახურავზე „პროვოკატორები“ მხოლოდ სარემონტო სამუშაოებს ასრულებდნენ.

უნივერსიტეტის ეზოში მდგომარეობა ასევე „დრამატული“ იყო. ყველა მიტინგის დაწყებას ელოდა. აქაიქ საქმიანი კამათი ისმოდა, თუმცა



შეინიშნებოდა ერთი არასაქმიანი, ასე ვთქვათ, წმინდა საკამათო სიტუაცია. ხნიერი მამაკაცი ამბობდა: თქვენ თქვენს ზვიადის რომ აპატიეთ შეცდომები — აი, მაგალითად, საკადრო პოლიტიკაში რომ ჰქონდა, ან საშინაო პოლიტიკაში, სულაც საგარეო პოლიტიკაში; ხომ აპატიეთ ეს შეცდომები და ჩვენს ედუარდსაც აპატიეთო, მანდილოსნებმა თავიანთი მძიმე საბრძოლო არსენალიდან მსუბუქი ქოქოლა დააყარეს და, მამაკაცმაც კამათი შეწყვიტა.

მიტინგი, მართალია, ჯერ არ დაწყებულიყო, მაგრამ უკვე ცხელ-ცხელი ამბების კორიანტელი ტრიალებდა, მაშინვე ვიფიქრე, მართალია რადიოსადგურ „თავისუფლებას“ კონკურენციას ვერ გავუწევთ, მაგრამ დღევანდელი ჩვენი ინფორმაციით ნამდვილად ვაჯობებთმეთქი. აი, ჩამოგითვლით და თავად დარწმუნდებით:

გამსახურდიამ ჰააგის სასამართლოში საჩივარი შეიტანა და იგი გამართლებულ იქნა.

კახეთში ხელმძღვანელ პოსტებზე კანონიერ ქურდებს ნიშნავენ, რომლებსაც უნომრო, მოპარული „ვოლგები“ ჰყავთ.

„მხედრიონის“ შემხედვარე გია ყარყარაშვილი ზვიადის მხარეს გადავიდა.

ისინი, ვინც ადრ[illegible]ბოდნენ, მის საქმეებს თანაუგრძნობდნენ და ახლა უკანონო ხელისუფლებას მიუდგნენ, არამზადები არიან.

ოჰ, უკაცრავად...

ეს უკანასკნელი, რა თქმა უნდა, ინფორმაცია აღარ გახლავთ. ის აქ შეკრებილი თეორეტიკოსების საუბრიდან აღებული ფრაზაა. დიახ, აქ მრავლად იყვნენ თეორეტიკოსები, კაზუისტები, რომლებიც სისხლიანი მთავრობის ყველა ჩახლართულ საქმეს შიფრავდნენ, ყველა გორდას სხარტად ხსნიდნენ, მაგრამ ამჯერად ჩვენმა ყურადღებამ უნივერსიტეტის კიბეებისაკენ გადაინაცვლა, სადაც ორატორები გამოჩნდნენ.

მიტინგი იწყებოდა. ხალხმა მილიციისა და არარსებული პოლიციის ერთობლივ რაზმს გადახედა, ვითარება გახალისდა. წამოწიეს ტრანსპარანტები: „სისხლიანი მთავრობა...“, „სოლიდარობას ვუცხადებთ აჭარის სტუდენტებს“.

აი, აქ კი უფრო დაიძაბა ჩვენი ჟურნალისტური ცნობისმოყვარეობა. საქმე გვქონდა ისეთ ინფორმაციასთან, რომელიც „თავისუფლებას“ კი არა, საქართველოს ტელევიზიასაც არ უნდა სცოდნოდა. დიახ, აჭარის სტუდენტებზე არავინ არაფერი იცოდა, მაგრამ რად გინდა, კოვზი ნაცარში ჩაგვივარდა. აღმოჩნდა, რომ ორატორებს ხმის გამაძლიერებელი საშუალება კვლავ არ ჰქონდათ.

დიახ, ჩაიშალა მიტინგი, მიზნები, მისწრაფებები — ყველაფერი ერთად ჩაიშალა, ყველაფერი ჩაქრა, ხალხმა მოიწყინა. ღრმა დუმილი ჩამოვარდა. პოლიციელებს კი სულ მთლად გული აუჩუყდათ, მაშინვე დაქოქეს თავიანთი ცისფერი ჯავშნოსნები და ყრუ თახთახით გაუყვნენ გზას.

— ეჰ, წავიდნენ ეს გათახსირებულებიც! — ჩაილაპარაკეს მანდილოსნებმა და თვითონაც შინისკენ გასწიეს.

ჩაიშალა.

ვახტანგ კომახიძე

## პოლემიკა

# მხოლოდ და მხოლოდ ასე

ბატონო ნოდარ, თქვენს გაზეთში გამოაქვეყნეთ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული ჩემი ორი მასალა-ერთი რეპორტაჟი და ერთიც ნოდარ დუმბაძის ნაამბობის გახსენება. თქვენი ბრალდება ასეთია: პირველი წერილის დამწერმა, რატომ გამოვაქვეყნე მეორე და რად შევიცვალე პოზიცია?

ძაღლის თავი, ჩემის აზრით, იმ ათ თვეშია ჩამარხული, თქვენ რომ ასე მცირე დროდ მიიჩნევთ (წერილების გამოქვეყნების დროც ხომ ამიტომ მიუთითეთ). სინამდვილეში კი ათი თვე უზარმაზარი ეპოქაა, რომელიც გაძეძგილია გაუგონარი ეროვნული, ყოფილი საბჭოთა კავშირის და მსოფლიო მასშტაბის კატაკლიზმებით. ამ ათმა თვემ მრავალ მოვლენას მოჰფინა ნათელი, რომლის განჭვრეტა წინასწარ შეუძლებელი იყო. არც ჩვენს ეროვნულ ხელისუფლებას ჰქონდა ჩადენილი მაშინ ის შეცდომები, რომლებიც მერე საბედისწეროდ მოინათლა.

გასული წლის მაისის საპრეზიდენტო არჩევნების დროს ზვიად გამსახურდიას თითქმის მთელი საქართველო, დიდიან პატარიანად, უჭერდა მხარს და რა თქმა უნდა, გამონაკლისი არც მე ვიყავი. თავი იმიტომ გამოვიდე ეროვნული მოძრაობის ლიდერის საპრეზიდენტო არჩევნებში მხარდასაჭერად, რომ მიმაჩნდა: სხვა კანდიდატურა ვერ შეძლებდა ვნებების შტორმში მოქცეული საქართველოს თავისუფლების გემის მშვიდ ნავსაყუდელში მიყვანას.

ნუთუ არ შეიძლებოდა სასოებით მეცქირა პრეზიდენტისათვის, რომელზედაც სამშობლოს განთავისუფლების იმედს ვამყარებდი. ასე ფიქრობდა მაშინ ლამის ერი და ბერი, რომელთა არც თუ ისე მცირე ნაწილმა, მათ შორის თვით პრეზიდენტის თანამებრძოლებმა, არნახული ფერიცვალება განიცადეს.

დიახ, ასე მწამდა მეც, თორემ რა ჩინ-მედლები მოვიხვეჭე პრეზიდენტის მოღვაწეობის დროს და რა ეპოლეტებს მოველი დღეს ახალი ხელისუფლებისაგან?

ზვიად გამსახურდიამ თავისი მოღვაწეობის პირველ პერიოდში არაერთი სიხარული განმაცდევინა. მე იგი მიყვარდა (არც ახლა ვარ გულგრილი მისი ტრაგიკული ბედის მიმართ), მაგრამ ამ სიყვარულს არ დავუბრმავებივარ, ფხიზლად ვადევნებდი თვალს შუქ-ჩრდილებს მის საპრეზიდენტო გზაზე.

2 სექტემბრისა და შემდეგდროინდელმა მოვლენებმა მეც გამიჩინა პრეზიდენტის მიმართ ეჭვი და ცხადია ადრინდელ თვალსაზრისზე ფეხმოუცვლელად ვერც მე ვიდგებოდი.

ამის მიუხედავად, მე არ ვიყავ პრეზიდენტის ძალადობით დამხობის მომხრე, რადგან ვთვლიდი, რომ დემოკრატიისათვის მებრძოლნი პირველივე ტყვიის გასროლით მოკლავდნენ დემოკრატიას და ძმათამკვლელ დაპირისპირებას უცებ არ მოელებოდა ბოლო (რეპორტაჟში ამის შესახებ არის ლაპარაკი), აკი არც მოელო და, კაცმა არ იცის, დღესაც როდის დაშოშმინდება ერთმანეთის ყელში საწვდენად ატოტებული, ერთურთის სიძულვილამდე მისული ქართველთა ვნებათღელვა.

ამიტომაა სანთლით საძებნი ამ მდგომარეობიდან გამოსვლის გზა და საშველი, რომ დაწყებულმა იარაღით დაპირისპირებამ კიდევ უფრო დიდი მასშტაბი არ მიიღოს, რომ ასობით დახოცილ თანამოძმეს კვლავ ახალი უაზრო მსხვერპლი არ მიემატოს.

ამ და სხვა მიზეზთა გამო გავიხსენე ნოდარ დუმბაძის მონათხრობი, რომელიც მაშინვე ვუამბე რამდენიმე მეგობარ მწერალს. ეს ,,დიდი განდობა‘‘ ხომ ჯერ ბატონ ედუარდს არც უარყვია და არც დაუდასტურებია.

განსვენებული მწერლის მონათხრობი თქვენ მთლიანად ჩემს პოზიციად გამოაცხადეთ, რასაც, გარკვეულწილად, მეც ვიზიარებ.

დღეს, როცა ჩვენი სამშობლო უფსკრულში თავაწყვეტით მიექანება, როცა გამსახურდიას ხელისუფლება აღარ არსებობს, იმედის თვალი მივაპყარ ბატონ ედუარდ შევარდნაძეს, რომელიც სიკვდილის აჩრდილადევნებული, ძაძა-მოძალებულ, მგლოვიარე საქართველოში უშიშრად ჩამოვიდა, რათა თავის ხალხს გვერდით დაუდგეს. იქნებ ამ სატანურად აწეწილ საქართველოს იმ კაცმა უშველოს, ვისი დამსახურებაც თანამედროვე მსოფლიოს უმწვავესი პრობლემების მოგვარებაში განუზომელია. ასე რომ, ბატონო ნოდარ, მოგონების გამოქვეყნება სწორედაც ჩვენი, შავ დღეში ჩავარდნილი მამულის ინტერესებითაა ნაკარნახევი.

ერთიც მინდა გკითხოთ, პრეზიდენტის ამომრჩეველი უზარმაზარი კონტიგენტის შეხედულებებმა, როგორ გგონიათ, ამ ხნის მანძილზე, ცვლილებები არ განიცადა?! ექსპრეზიდენტის მეგობრები და თანამებრძოლები დღეს ახალ ხელისუფებასთან არ თანამშრომლობენ?! მაშ ჩემგან და ჩემისთანებისგან რას ითხოვთ?! რა სჯობს, ჩვენც თოფ-იარაღი ავისხათ და დავუპირისპირდეთ მოძმეებს, თუ გალაკტიონის დიდებული თქმისა არ იყოს: ,,ახლა კი ხელი მივცეთ ერთმანეთს?!‘‘

რატომ უნდა წამოვაძახოთ თვისტომთ ის, რომ ერთ დროს კანონიერ, ჯერაც სერიოზულ შეცდომა ჩაუდენელ პრეზიდენტს, თუნდაც გადაჭარბებული ქება უავანსეთ. ჩვენ ისიც გვეყოფა, თავს უზარმაზარი, დამთრგუნველი ტრაგედია რომ დაგვატყდა, რამაც ჩვენში ლამის ეროვნული არასრულფასოვნების სინდრომი დაბადა და ნუ ვეძებთ იმ ლაქას, სადაც იგი არ არის. სჯობს ერთმანეთში სიკეთის ნაპერწკალი მოვძებნოთ, სული შევუბეროთ და ურთიერთგამთბობელ ალად ვაქციოთ.

აქ მინდა მოვიტანო ერთი ინდური შეგონება: ,,როცა გლანძღავენ, მადლობელი იყავი რომ არ გცემენ, როცა გცემენ, მადლობელი იყავი რომ არ გკლავენ, და როცა გკლავენ, მაშინაც მადლობელი იყავი, რომ ამ უსამართლობით სავსე წუთისოფელს ტოვებ.‘‘ მეც მადლობელი ვარ რომ არ მომკალი, რითაც საშუალება მომეცი დამოუკიდებელ, ჭეშმარიტად თავისუფალ საქართველოს მოვესწრო.

დაბოლოს, მინდა გაგახსენო ერთი დავიწყებული პოეტის ლადო ირემაშვილის ჩემთვის დაუვიწყარი ლექსი:

მიფრინავდა ჩიტუნია, მიფრინავდა და...

გადა, გადაიფრინავდა მინდორსა და მთას;

მაგრამ რადა, ერთი ბიჭი გადაეკიდა

ჩვენებური, ძველებური პაპის თოფითა:

ესროლა და ფრთა მოტეხა, ფრთა მოტეხა და...

ჩიტუნია ცაცხვის ტოტზე ჩამოეკიდა.

დაუბერე, დაუბერე, ქარო, ნიავო,

დაჯდა ბიჭი და ატირდა ბიჭუნიაო:

ვეღარ, ვეღარ გაფრინდება ჩიტუნიაო.

ჩიტუნია მოტეხილ ფრთით ეფერებაო,

ჩიტუნიას თავის ბარტყი აგონდებაო.

თქვენ, რა თქმა უნდა, უმალ მიხვდებით, რომ ის თოფნაკრავი, მხარმომტვრეული ჩიტი მე ვარ და დიდსულოვნად გაპატიებ დაუნდობლობას, თუ იმ ბიჭივით ცრემლი მოგერევა თვალზე.

ტაგუ მებურიშვილი

*

ბატონო ტაგუ, ვერ ვიტყვი, რომ თქვენმა ბარათმა გულგრილი დამტოვა. ამიტომაც ვიჩენ სისუსტეს და პოლემიკის გაგრძელებას არ ვაპირებ. ოღონდ ეგ არის, წინა ნომერში გამოქვეყნებული მასალით პოზიციის შეცვლა კი არა, როგორც მწერალს, სხვა რამ გისაყვედურეთ...

თუ რა არის ის „სხვა რამ“ რომ გავშიფრო, კიდევ ერთხელ გეტკინებათ გული...

პატივისცემით

ნოდარ გრიგალაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი მილოცვა

გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია ულოცავს ჩვენს შესანიშნავ მწერალს ბატონ გურამ ფანჯიკიძეს საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ არჩევას.

ვუსურვებთ ამ მძიმე დროში მისთვის ჩვეული ენერგიით ეზიდოს ქვეყნის სულიერ მესაჭეთა მეთაურის ტვირთი.

გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია

25 მარტს, ქართველ მწერალთა XI ყრილობის დაწყებამდე, „მადლიერ“ მკითხველთა მცირე ჯგუფმა დასწვა და დაფლითა ქართველ მწერალთა წიგნები, მათ შორის ბატონ გურამ ფანჯიკიძისა (ამ ვანდალური ფაქტის შესახებ ამავე ნომერში გთავაზობთ ფ. კოჭიაშვილის წერილს). იმდენი აქიაქეს და ისეთი ეპითეტებით მონათლეს ამ ბოლო ორ წელიწადში ჩვენი გამოჩენილი მწერლები, რომ ასეთ სავალალო შედეგებამდე მივედით. არადა, ნამდვილ ქართველ მწერალს ეროვნულ მოძრაობაში მოსასვლელი არაფერი სჭირდა, იგი ყოველთვის იქ იყო, სადაც სამშობლოს სჭირდებოდა. ამის დასტურია თუნდაც გურამ ფანჯიკიძის ეს სიტყვა, რომელიც ამ 14 წლის წინათ წარმოთქვა — იმ დროს, როცა ყოველი გაბედული ფრაზა გარკვეულ რისკთან იყო დაკავშირებული. გთავაზობთ გ. ფანჯიკიძის სიტყვის სტენოგრაფიულ ჩანაწერს.

# სიტყვა თქმული საქართველოს მწერალთა კავშირის ღია კრებაზე 1978 წლის 11 აპრილს

გურამ ფანჯიკიძე

*

მე აღარც კი მინდოდა გამოსვლა, უკვე იმდენი რამ ითქვა, გამეორება იქნება, მაგრამ მაინც ვიტყვი ორ სიტყვას.

ძვირფასო მეგობრებო!

ყველამ კარგად ვიცით, რა პასუხსაგებ მოვლენაზე ვმსჯელობთ დღეს. ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ბევრი აქ გამოსული და არა მარტო აქ, არამედ ყველგან, სადაც კი მსჯელობენ საქართველოს ახალი კონსტიტუციის თაობაზე, ლაპარაკობენ აღგზნებულად, ემოციურად. სხვანაირად შეუძლებელიცაა, ყველას გულთან მიაქვს ის მუხლი, სადაც ქართული ენის თაობაზეა ლაპარაკი.

ხშირად ადამიანმა შეიძლება ვერ მოზომოს, გადააჭარბოს, მოვლენები მთელი სიღრმით ვერ შეაფასოს, მაგრამ ამან არ უნდა მოგვცეს შეშფოთების მიზეზი, რადგან ეს ხალხი ჭეშმარიტი მამულიშვილები არიან, ხოლო ეს გადაჭარბებანი გამოწვეულია მათი მღელვარებით, პასუხისმგებლობის გრძნობით. რასაკვირველია, აქ არ ვგულისხმობ პროვოკატორებსა და იაფფასიან პოპულარობის მოპოვების მსურველებს, რომლებიც, სამწუხაროდ, საკმაოდ ბევრნი არიან. დიახ, ისევ ვიმეორებ, მე უფრო საპატიოდ მიმაჩნია ის გადაჭარბება, რომელიც თავისი ენის ბედზე ჩაფიქრებულ კაცს მოსდის, ვიდრე ზოგიერთების მიერ „ქულების დაგროვების“ პოლიტიკა და არაგულწრფელობა.

მაგალითად, ჩემზე ძალიან ცუდი შთაბეჭდილება დასტოვა ამხ. კუპრავას გამოსვლამ ცენტრალურ კომიტეტში, რომელიც „დააძლა“ აკაკი ბაქრაძეს და დაუპირისპირდა კულტურის სამინისტროს სახელით. თუმცა იქ აკაკი ბაქრაძე გამოვიდა არა კულტურის სამინისტროს სახელით, არამედ პირადად თავისი სახელით.

ასევე მოიქცა ბევრი ცნობილი მეცნიერიც, რომლებმაც საიუბილეოდ თუ რაღაც მიზეზებისათვის არ გაამწვავეს მდგომარეობა.

ამიტომ მირჩევნია ამ ხალხის აზრებს გულწრფელი ადამიანების გამოსვლა, მთელი თავისი შეცდომებით თუ გადაჭარბებით. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რეალისტები უნდა ვიყოთ, ათსართულიანი სახლის მშენებლობა არ უნდა დავიწყოთ, როცა მასალა მხოლოდ ორი სართულისა გვაქვს.

აქ უკვე ითქვა, რომ გუშინ პრეზიდიუმზე გამოინახა ყველაზე ოპტიმალური ვარიანტი, რომელიც გავაცანით ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხ. ე. შევარდნაძეს.

მან დიდი გულისყურით მოგვისმინა და პირადად მე დიდი იმედი ჩამესახა, რომ ჩვენი შესწორება გათვალისწინებული და მიღებული იქნება.

მე ისიც მინდა მოგახსენოთ, რა ვთქვი გუშინ ცენტრალურ კომიტეტში ამხ. შევარდნაძესთან შეხვედრისას. ამას წინათ ვიმოგზაურე ფიჯის კუნძულებზე და სინგაპურში. ფიჯიზე ადგილობრივი მოსახლეობა შეადგენს 7 პროცენტს. სხვათა შორის ოფიციალურად ფიჯელებმა უკანასკნელი კაცი შეჭამეს 110 წლის უკან. ეს იყო ინგლისელი კათოლიკოსი. მისი მოხარშული ფეხსაცმლის ლანჩა დღესაც ინახება მუზეუმში.

(ნ. დუმბაძემ — მოხარშული ლანჩა არ გითქვამს გუშინ).

ახლა ვამბობ. ეს ინგლისელი ეპისკოპოსი იყო. თორემ მას მერე რამდენი უცხოელი კაცი შეჭამეს, ღმერთმა უწყის. დანარჩენები არიან ინგლისელების მიერ შესახლებული ინდოელები და თვითონ ინგლისელები. მიუხედავად ამ უმცირესობისა, ოფიციალური ენა მაინც ფიჯის ენაა, რადგან პატივს სცემენ კუნძულების ძირეულ მოსახლეობას.

ასევე სინგაპურის ტერიტორია ეკუთვნის მალაიზიელებს, რომლებიც მოსახლეობის 14 პროცენტს შეადგენენ. დანარჩენები არიან შემდეგ მოსული ჩინელები და ინგლისელები. ოფიციალური სახელმწიფო ენა აქაც მალაიზიურია, ადგილობრივი ხალხის საპატივცემულოდ.

აქ ერთი ფაქტი მინდა კიდევ დავამატო, რაც ცენტრალურ კომიტეტში არ მითქვამს. ახალ ზელანდიაში, ქალაქ ოკლენდში ერთი საუკეთესო ადგილი ჰქონდათ გამოყოფილი ქალაქის ახალი ცენტრისათვის. პროექტებიც დამუშავებული იყო. ზღვის მხრიდან შემოსული გემებისათვის ფანტასტიური ხედი უნდა გადაშლილიყო ქალაქისა. ამ სამი თუ ოთხი წლის წინ მოვიდნენ მაორები და თავისი სახლები ჩადგეს საგანგებოდ შემონახულ ტერიტორიაზე, რამდენიმე წელია გრძელდება მათთან ხვეწნა სხვა ადგილზე დაგასახლებთო, მაგრამ აქედან არაფერი გამოდის. კანონის ძალით ერთ დღეში შეუძლიათ ისინი გაასახლონ, მაგრამ ამას იმიტომ არ აკეთებენ, რომ ისინი კუნძულის მკვიდრი მოსახლენი არიან.

ერთი სიტყვით, მე ამით ის მინდა ვთქვა, რომ როცა რესპუბლიკაში აღიარებ ადგილობრივი ენის უპირატესობას, ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ ჩვენ რომელიმე ენას ვავიწროებთ ან ვჩაგრავთ.

მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ: „არ მეგულება მსოფლიოში უფრო ინტერნაციონალური ერი, ვიდრე ქართველი ერია. ჩვენ ხშირად ვამბობთ, საქართველოში ამდენი და ამდენი ერის წარმომადგენელი ცხოვრობსო. რის შედეგია ეს, თუ არა ჩვენი ინტერნაციონალური თვისებებისა? ამიტომ უსაფუძვლო ბრალდებას ნურავინ შემოგვახვევს თავზე. როცა ჩვენ ჩვენი ენის უპირატესობას მოვითხოვთ, ამით ვინმეს კი არ ვავიწროებთ, არამედ ხაზს ვუსვამთ, რომ ჩვენ აქ მოსულები კი არა ვართ, როგორც სხვა ერების წარმომადგენლები, არამედ ჩვენი ფესვები ურარტუდან მოდის. ჩვენ აქაურები ვართ, ეს არის ჩვენი მიწა, ეს არის ჩვენი ენა, ეს კონსტიტუციაც არის ჩვენი (ტაში) ხომ ასე ვთქვი გუშინ, ბატონო გრიშა? (გ. აბაშიძე, კი, ნამდვილად ასე თქვი).

ეს ჩვენი მიწაა, ეს ჩვენი ქვეყანაა. ეს უნდა ჩანდეს ჩვენს კონსტიტუციაში. აი, ამიტომ გვინდა შეიცვალოს 75 — ე მუხლი იმ ვარიანტით, რომელიც გუშინ ცენტრალურ კომიტეტში წარვუდგინეთ, აი ასე უნდა გაგვიგონ ჩვენ და არა ისე, თითქოს ნაციონალისტურ-შოვინისტური გრძნობები გვამოძრავებდეს და ვინმეს დაჩაგვრას ვაპირებდეთ.

ამხ. ე. შევარდნაძის გულისხმიერებამ და დაპირებებმა ყველას დიდი იმედი ჩაგვისახა გულში.

გარდა ამისა, ჩვენ უნდა ვისწავლოთ კონსტიტუციის მუხლების გამოყენება და ცხოვრებაში დამკვიდრება.

სსრკ კონსტიტუციაში ხაზგასმითაა დაკანონებული, რომ ერებმა პატივი უნდა სცენ ერთმანეთს.

მაგრამ ეს კანონი მარტო იმიტომ კი არ არის შემოღებული, რომ მარტო ქართველებმა სცენ პატივი სხვას. კეთილ ინებონ და ჩვენც პატივისცემით მოგვეპყრან. ერთი მაგალითთ მინდა გავიხსენო. შარშანწინ მოლდავეთში ვიყავი საბჭოთა ლიტერატურის დღეებზე. იქ გამოსული მწერლები ვლაპარაკობდით საბჭოთა ლიტერატურის საკითხებზე.

იქ სიტყვით გამოვიდა საკმაოდ კარგი მწერალი, ვოლოგდელი გახლავთ, ასტაფიევი. აი, რა თქვა მან: მე არ მიყვარს არსად სიარული. ახლაც დავაშავე, რომ მოლდავეთში წამოვედიო. აღარ შემიძლია ვუყურო რა კარგად ცხოვრობენო ეს რესპუბლიკები. ნუთუ აღარ დადგა დრო, რუსმა ერმაც იცხოვროსო კარგად. აქ პამიდორი კილოგრამი 12 კაპიკი ღირს. ჩვენ, ვოლოგდელები კი ვლოცულობთ იმ ქართველ სპეკულანტებზე, რომლებსაც 6 მანეთად ჩამოაქვთ კგ. პამიდორიო. ამ მიწაში რუსი ჯარისკაცის ძვლებიც ყრია და კარგად უნდა იცოდნენ, რუსი კაცის ძვლები ორჯერ მეტი ღირს ნებისმიერი ერის კაცის ძვლებზეო. სამწუხარო ის კი არ არის, რომ ეს მშვენიერი მწერალი ნაძირალა აღმოჩნდა. დიახ, ნაძირალა, მე არ მეშინია ამ სიტყვის ხმარებისა. თითო ნაძირალა ყველგან არის, მე ეს არ გამკვირვებია (ტაში). სამწუხაროდ, მე სიტყვით უფრო ადრე გამოვედი და არ შემეძლო პასუხი გამეცა მისთვის. ისე, ბანკეტზე კი მოვახსენე, რაც ერგებოდა. სამწუხარო ის იყო, რომ დარბაზში მქუხარე ტაში გაისმა. რესპუბლიკებიდან თითო-თითო კაცი ვიყავით მიწვეულნი, ხოლო დანარჩენები რუსები იყვნენ. სხდომა მიჰყავდათ სსრკ მწერალთა კავშირის მდივნებს, გვესწრებოდა მაღალი თანამდებობის სპეციალური პირი. მეგონა, ვინმე მაინც გასცემდა პასუხს ასტაფიევს. არაფერი ამის მსგავსი. როდესაც „ლიტერატურნაია გაზეტამ“ გამოაქვეყნა ამ დღეების დღიური, მხოლოდ ასეთი რამ ეწერა, რამდენადმე საკამათო იყო ასტაფიევის და კიდევ ორი კაცის (გვარები არ მახსოვს), გამოსვლაო. ისიც კი არ მიანიშნეს, რა ასპექტში იყო საკამათო ასტაფიევის გამოსვლა. მკითხველი, ბუნებრივია, იფიქრებდა, წმინდა ლიტერატურულ საკითხებშიო. როგორ არა ჰგავს პამიდორზე მოტირალი მწერალი კუხელბეკერისა და პუშკინის იმ თაობას, საბერძნეთის განთავისუფლებისათვის რომ უნდოდათ წასვლა.

მაგრამ, ერთიც უნდა ვთქვა. ჩვენ ემოციური ხალხი ვართ, რაღაც გაგვალიზიანებს და ავფეთქდებით. ვთქვათ, ის შესწორებანი, რაც ჩვენ ასე გვაღელვებს, შეიტანეს კონსტიტუციაში. ამით ყველა პრობლემა გადაიჭრება?

კონსტიტუციის მუხლები კარგად შეგვისწავლია, მაგრამ ამ დარბაზში თუ ვინმემ იცის, მერამდენე შვილია მატება ან როგორ მატულობს ქართველი ერი?

თუ სულ 27 ქართველი დავრჩებით, რად გვინდა მაშინ ან ენა ან კონსტიტუცია? ამ 20 წლის უკან, როცა ბატონი გრიგოლი „დროშის“ რედაქტორი ბრძანდებოდა, გამაგზავნა ჩვენს შესანიშნავ მეცნიერთან ჟორდანიასთან, რომელმაც დააარსა ქალთა პათოლოგიის და უშვილობის წინააღმდეგ მებრძოლი ინსტიტუტი.

მან მითხრა, რომ ერის მატება მხოლოდ მე-5 შვილიაო. ეს მაშინ. ახლა უკვე მე-6 შვილი ემატება ერს. ახლავე აგიხსნით რაშია საქმე. მესამე შვილით ოჯახი თავის მხრივ ერთ შვილს მატებს ერს, მაგრამ მე-3 და მე-4 ამჟამად მე-5 შვილის [illegible] ლებენ უშვილოებს, ერთშვილიანებს, მსხვერპლს. მხოლოდ მე-6 შვილი ზრდის ერთი ერთეულით ერის საერთო რაოდენობას. ახლა ვიანგარიშოთ, რამდენი ექვსშვილიანი ოჯახია საქართველოში და როგორ მატულობს ქართველი ერი.

განა ეს დასაფიქრებელი არ არის? განა უმთავრესი და სასიცოცხლო პრობლემა არ არის?

ახლა ავიღოთ სულ სხვა საკითხი. ჩვენი საქმოსნები ავრცელებენ ხმებს, თითქოს საქართველო მსუბუქი მრეწველობის ქვეყანააო. ერთი შეხედვით ეს თითქოს სწორია. ჩვენ ხომ საკურორტო ზონა ვართ. ხოლო საკურორტო ზონას არ შეეფერება მძიმე მრეწველობადა მისი უხეში პეიზაჟი, ეს ტყუილია, მეგობრებო! მსუბუქი მრეწველობა ეს ის მრეწველობაა, სადაც საქმოსნები ხელს ითბობენ და ამ ილუზიებსაც მიტომ ქმნიან. ალბათ თქვენ არ იცით, რომ მთელი საქართველოს ნავთობს სჭირდება იმდენი მუშა ხელი, რამდენიც ერთი — გორის ბამბეულის კომბინატს, სადაც 6 000 რუსი ქალიშვილი ჩამოიყვანეს სამუშაოდ, მთელი იმერეთის ქალები შეყარეს ქუთაისის, ჭიათურის და ზესტაფონის სამკერვალო ფაბრიკებში. განა დრო არ არის შევისწავლოთ რა დარგები უნდა განვითარდეს ჩვენს რესპუბლიკაში, რომელსაც მაქსიმალურად მცირე ხალხი დასჭირდება, საიდან უნდა მოვიდეს მუშათა კლასის შევსება, ჩვენი პატარა ერი გასწვდება ყველაფერს?

ასევე ავრცელებენ ხმას, მთელი ჩვენი საქმიანობა საკურორტო-ტურისტული მიმართულებით უნდა წარვმართოთო. ესეც უზარმაზარი შეცდომაა. თქვენ ყველას გინახავთ ლიძავა, განა ის საქართველოა? ახლა შენდება მთელი ზოლი შავი ზღვის სანაპიროზე. რაც არ უნდა ცუდად გამიგოთ მე მიხარია, რომ ეს მშენებლობა ფერხდება და გულში ვოცნებობ, ნეტავ სულ არ აშენდეს-მეთქი.

თქვენ ალბათ იცით, რომ ნორმალური სერვისის დროს ერთ დამსვენებელზე ორი მომსახურე პერსონალია საჭირო.

არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ქართველები დღესდღეობით ვართ 3.131.000 კაცი. აქედან მილიონ ასი ათასი თბილისში ცხოვრობს. ვინ მოემსახურება მილიონობით დამსვენებლებს, გვიფიქრია ამაზე? მე ვყოფილვარ ისეთ მოდურ საკურორტო ქვეყანაში, როგორიცაა ლიბანი და მისი დედაქალაქი ბეირუთი. საშინელი სურათი ვნახე, მთელი ქვეყანა გადაქცეულია სასტუმროებისა და რესტორნების თანამშრომლებად. თვითონ ჩვენი მოძმე ბულგარელებიც ჩივიან — ბულგარეთი ოფიციანტების ქვეყანად იქცაო. ეს საფრთხე მით უფრო დგას ჩვენს წინაშე, რადგან ჩვენ გაცილებით მცირერიცხოვანი ვართ.

აქ რეგლამენტი საშუალებას არ მაძლევს ყველაფერზე ვილაპარაკო, მაგრამ სასიცოცხლო პრობლემები ბევრია.

ვისაც ნამდვილად გვიყვარს ჩვენი ერი, არამარტო უნდა ვილაპარაკოთ ამ პრობლემებზე, არამედ მთელი ჩვენი ენერგიით უნდა ვიბრძოლოთ მათ გადასაჭრელად (ტაში).

# თბილისს ცრემლების არ სჯერა?!

## ანუ ზოგი რამ ზუგდიდში მიმდინარე მოვლენებზე

სერგო ჯანაშია

დღეს საზოგადოებაში ბევრი მითქმა-მოთქმაა ზუგდიდში მიმდინარე მოვლენებზე. ერთნი ამას მიიჩნევენ გამსახურდიას მომხრეთა ორგანიზებულ წინააღმდეგობად ამჟამინდელი ხელისუფლების მიმართ, რაც, რა თქმა უნდა, ნაწილობრივ ასეცაა, მაგრამ ბევრმა არ უწყის, რომ ზუგდიდში ამ ბოლო ჟამს მიმდინარე პროცესების ტრაგიკული ხასიათი ძირითადად სრულიად განსხვავებული მიზეზებითაცაა განპირობებული.

სანამ ამ მოვლენების გამომწვევ მიზეზებზე ვიტყოდეთ რამეს, გვინდა აღვნიშნოთ, რომ იანვრის თვეში, როცა ოპოზიციის სამხედრო ფორმირებები მიადგნენ ზუგდიდს, სწორედ აქ მოიყარა თავი ყოფილი პრეზიდენტის მომხრეთა ძირითადმა ბირთვმა მთელი საქართველოდან, სწორედ აქ შეიქმნა ეროვნული დაუმორჩილებლობის კომიტეტი და აქედან იმართებოდა დაუმორჩილებლობის აქციები სამეგრელოსა და აფხაზეთის რეგიონებში.

და მიუხედავად იმისა, რომ იყო ცდა როგორმე თავიდან აეცილებინათ მოსალოდნელი შეიარაღებული შეტაკება, იგი მაინც მოხდა, რასაც მოჰყვა სისხლი და მსხვერპლი. მაგრამ, როგორც საქმეში ჩახედული ადამიანები ირწმუნებიან, ამ შეტაკებას შეიძლება უფრო სავალალო შედეგებიც მოჰყოლოდა (გამსახურდიას მომხრეთა მხრიდან, რომლებიც გაცილებით ცუდად ყოფილან შეიარაღებულნი), რომ არა ბატონი ვალტერ შურღაიას წინდახედულება, რომელმაც სადაც არა სჯობდა, იქ გაცლა ამჯობინა და ცეცხლს გამოარიდა ათეულობით ახალგაზრდა კაცი.

მხედრიონისა და ეროვნული გვარდიის შეიარაღებული რაზმები ზუგდიდში შევიდნენ და იმავე საღამოს საქართველოს ტელევიზიით გამოცხადდა, რომ დროებითი მთავრობის ჯარებმა ზუგდიდი აიღესო. ამ განცხადებას ადგილობრივი მოსახლეობა სარკასტული იუმორით შეხვდრია : ყოჩაღ თქვენ, ყოჩაღო, ისე აცხადებთ ამ ამბავს, თითქოს მტრის ტერიტორია აგეღოთო!

ზუგდიდის „დაცემით" ერთგვარად საყრდენი გამოეცალა ყოფილი პრეზიდენტის მომხრეთა დაუმორჩილებლობის კამპანიას და მოვლენებმა აფხაზეთის ტერიტორიაზე, კერძოდ, სოხუმში გადაინაცვლა.

ზუგდიდში თითქოს სიმშვიდემ დაისადგურა. პირველ ხანებში არ მომხდარა არავითარი ექსცესები, დაინიშნა სამხედრო საბჭოს რწმუნებული, ზუგდიდის ყოფილი რაიკომის პირველი მდივანი (ბოლო მდივანი კომუნისტური მმართველობის პერიოდში) ბატონი გურამ გუნავა, რომლის პატაკებიც საქართველოს ტელევზიით დამაიმედებელ ინფორმაციას შეიცავდა ქალაქ ზუგდიდსა და მის რაიონში ვითარების შესახებ.

მაგრამ, თურმე, ბატონი გურამის პატაკები კომუნისტური გულმოდგინოებით იყო შედგენილი და ნამდვილი ვითარების შელამაზების ჩვეული, კომუნისტური ტენდენცია გასდევდა.

სინამდვილეში კი საქმე სულ სხვაგვარად ყოფილა. ზუგდიდში დაბანაკებულმა მხედრიონისა თუ გვარდიის ცალკეულმა წევრებმა, ეტყობა, ისეთ მდგომარეობაში მიიჩნიეს თავი, როცა ყველაფრის უფლება აქვთ და ისეთი პოლიტიკის გატარებას შეუდგნენ, რომელსაც ეგზეკუციის მეტს ვერაფერს უწოდებ.

მათი მოქმედება (კიდევ აღვნიშნავ, მხედრიონსა თუ გვარდიის ცალკეული, უღირსი წევრებისა) არათუ სამხედრო ფორმირების რიგითი წევრის, არამედ, ელემენტარულად, ადამიანური ქცევის ყოველგვარ ნორმებს სცილდებოდა.

მანქანების გატაცება, ოჯახების დაწიოკება, ძარცვა, ადამიანთა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა, მკვლელობები, ყაჩაღური თავდასხმები... აი, არასრული ჩამონათვალი იმ დანაშაულობებისა, რაც ხდებოდა იმ პერიოდში ზუგდიდში.

ბუნებრივია, ასეთ ვითარებას შესანიშნავად აუღო ალღო ადგილობრივმა დანაშაულებრივმა სამყარომაც და მხედრიონისა და გვარდიის სახელით ხალხის ყვლეფას და ძარცვას მიჰყო ხელი.

მე ვერაფერს ვიტყვი იმის თაობაზე, თუ რატომ არ აღკვეთვს ასეთი ქმედებანი ამ სამხედრო რაზმების ხელმძღვანელებმა, მაგრამ სამხედრო საბჭოს ადგილობრივ რწმუნებულს მაინც უნდა ეღონა რამე და სანამ ურემი გადაბრუნდებოდა, განგაშის ზარებიც უნდა ჩამოეკრა.

სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა. მოთმინებასაც თავისი ზღვარი აქვს და ზუგდიდელებმაც, რომლებიც სამართლიანად ამაყობენ თავიანთი ქართველობით, სახელით, პრესტიჟით, მეტი ველარ მოითმინეს და როცა სიმართლის განმკითხავი არავინ გამოჩნდა, ასეთ თავგასულობას თვითონ დაუსვეს წერტილი. თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნო, რომ სანამ ზუგდიდში მოვლენები ასეთ ხასიათს მიიღებდა, ზოგიერთი პოლიტიკური ორგანიზაციების ადგილობრივმა წარმომადგენლებმა ტელევიზიითა და პრესით აუწყეს საზოგადოებას და მთავრობასაც მსგავსი პოლიტიკის მოსალოდნელი შედეგების შესახებ, მაგრამ, როგორც იტყვიან, მათი ხმა დარჩა მღაღადებლად უდაბნოსა შინა.

მხედრიონსა და გვარდიას მიტმასნილი უღირს ადამიანთა და ადგილობრივი ბანდიტების დანაშაულებრივი ქმედებით შეწუხებული მოსახელობის აღშფოთებამ კულმინაციურ წერტილს მაშინ მიაღწია თურმე, როცა მხედრიონისა თუ გვარდიის რომელიღაც უგვანმა წევრმა (ეს ალბათ დადგინდება), იმ მოტივით, სწორედ შენ იყავი, ავტომატი რომ წამართვი ამ რამდენიმე დღის წინო, მშობლების თვალწინ, რომლებიც, როგორც ამბობენ, ყელგამოწვდილი და მუხლზე ჩოქით ევედრებოდნენ ვაიჯარისკაცს, ნუ მოგვიკლავ ერთადერთ შვილსო, ავტომატის ჯერით დაცხრილა სრულიად უდანაშაულო ახალგაზრდა კაცი, ქ. ზუგდიდის მკვიდრი, პროფესიით არქიტექტორი, მცირეწლოვანი შვილების მამა.

სწორედ აქ გაწყდა უკიდურესობამდე მისულ ადამიანთა მოთმინების ზღვარი და რადგანაც სიმართლის განმკითხავი კვლავაც არავინ ჩანდა, იარაღი აისხა და შინაგანი პროტესტის კარნახით გამსახურდიას მომხრეების მხარეზე დადგა, რომელთაც შესანიშნავად გამოიყენეს ეს ვითარება და პოლიტიკური მიმართულება მისცეს მოვლენებს.

ეს ამბავი კი ჩვენ ისე გვეუწყა, თითქოს გამსახურდიას მომხრეთა მორიგი აქცია იქნა დაწყებული, მაგრამ არ ითქვა, თუ რა იყო ძირითადი მიზეზი ზუგდიდელთა შეიარაღებული წინააღმდეგობისა.

ამასობაში კი ზუგდიდში, კერძოდ, სოფელ რუხში, სწორედ იმ შენობაში, რომელსაც „მეგობრობას" უწოდებენ და რომელშიც კომუნისტური მმართველობის ჟამს იმართებოდა ქართველთა და აფხაზთა მეგობრობის ფსევდოდღესასწაულები, შეიარაღებულმა ზუგდიდელებმა ტყვედ აიყვანეს გვარდიელები მათი სარდლის, პოლკოვნიკ გია ყარყარაშვილის მეთაურობით.

როგორც ამ ამბის თვითმხილველნი ამბობენ, ამ შენობასთან მოუყრია თავი როგორც შეიარაღებულ, ასევე შეუიარაღებელ ზუგდიდელთა დიდ რაოდენობას, რომლებიც გარს შემორტყმოდნენ შენობას და ორმხრივი სამსაათიანი სროლის შემდეგ ტყვედ აუყვანიათ გვარდიელები.

თუმცა, იმასაც დასძენენ, რომ პირველებს ყარყარაშვილის რაზმელებს შეუწყვეტიათ სროლა და ეტყობა, ამ ბრძოლის მოსალოდნელი, ორმხრივი შედეგებით შეშფოთებულები ჩაბარებიან „მტერს".

ამ შეტაკებას მსხვერპლიც მოჰყოლია, მაგრამ როგორც სამხედრო საქმეში ჩახედული ადამიანები ირწმუნებიან, ასეთი ინტენსიური სროლის გაგრძელების შემთხვევაში გაცილებით დიდი მსხვერპლი იქნებოდაო. როგორც ჩანს, ძმებმა ბოლომდე მაინც ვერ გაიმეტეს ერთმანეთი.

აღსანიშნავია, რომ ტყვე გვარდიელებისთვის ხალხს, მიუხედავად დიდი შინაგანი აღშფოთებისა არათუ ფიზიკური, არამედ სიტყვიერი შეურაცხყოფაც კი არ მიუყენებია. ამის შესახებ საქართველოს ტელევიზიამაც არაერთხელ აღნიშნა.

დღეს ჩვენი ავის მოსურნენი ცდილობენ გაავღვივონ კუთხური სეპარატიზმი და ამ მოვლენებს კუთხური დაპირსიპირების ელფერი მისცენ, მაგრამ მათ გასაგონად მინდა ვთქვა, რომ ზუგდიდში გამართულ არცერთ მიტინგზე, არცერთ თავყრილობაზე, იყო ეს გამსახურდიას მომხრეთა თუ მათ მოწინააღმდეგეთა მიერ ორგანიზებული, არასდროს გატარებულა ის აზრი, რომ სამეგრელო შეიძლება გამოეყოს საქართველოს, რომ მეგრელები სჯვაზი არიან და ა. შ. და ყველაფერი ის, რომ მეგრელებს და აფხაზებს ცალკე რესპუბლიკის შექმნა უნდათო, რომ სამეგრელო ცალკე გავა, თუ გამსახურდია არ იქნა პრეზიდენტიო და სხვა ამგვარი ხმები სწორედ იმ ადამიანების მიერაა მოგონილი და გავრცელებული, რომლებიც ყველაზე მეტად არიან დაინტრესებულნი ჩვენს შინააშლილობაში და თავიანთვის დიდ სარგებელს სწორედ აქედან გამოელიან.

ამასთან, მინდა ისიც აღვნიშნო, რომ ბოლოდროინდელ მოვლენებს ზუგდიდში კვლავ დაუმორჩილებლობის კომიტეტი უდგას სათავეში, მაგრამ მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ აქ გამსახურდიას სახელი იმდენად არ ფიგურირებს, რამდენადაც ზუგდიდელთა აღშფოთება უსამართლობის წინააღმდეგ.

თუმცა, როგორც აქაურები ამბობენ, ყოფილ პრეზიდენტს ქონია სატელეფონო კავშირი დაუმორჩილებლობის კომიტეტის ხელმძღვანელებთან და როგორც ხალხში ირწმუნებიან, სიტუაციის კიდევ უფრო დაძაბვისაკენ და „ხუნტის" წინააღმდეგ გალაშქრებისაკენ მოუწოდებია მათთვის, რასაც ხალხის დიდ ნაწილში ერთგვარი გაღიზიანება გამოუწვევია თურმე, ეგ გროზნოში ზის და ჩვენ კი ერთმანეთის გაწყვეტისაკენ გვაქეზებსო.

საბედნიეროდ, დაუმორჩილებლობის კომიტეტისა და ადგილობრივი შეიარაღებული რაზმების ხელმძღვანელებმა ამჯერად ეტყობა, ყური არ უგდეს ყოფილი პრეზიდენტის წაქეზებას, საპასუხო ნაბიჯი გადადგეს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს სამშვიდობო წინადადებაზე და მიღწეულ იქნა შეთანხმება შეიარაღებული ურთიერთწინააღმდეგობის შეწყვეტისა და ქალაქში ვითარების ნორმალიზების შესახებ. თუმცა, „ექს-პრეზიდენტის" მომხრეთა ერთ ნაწილს უცდია ჩაეშალა ეს მოლაპარაკება, რაც თვით ადგილობრივი შეიარაღებული რაზმების ხელმძღვანელთა მიერ ყოფილა აღკვეთილი.

ორივე მხარის ამ გონივრულ ნაბიჯს კი შედეგად ის მოჰყვა, რომ ზუგდიდიდან გავიდა მხედრიონისა და გვარდიის რაზმები, განთავისუფლდა მძევლების ნაწილი და ქალაქში ცხოვრება სტაბილიზაციისკენ მიდის. შესამჩნევად იკლო დანაშაულობათა რიცხვმა (თუმცა ადგილობრივი ავაზაკები თავისას მაინც არ იშლიან და კვლავ გაისმის აქა-იქ სროლის ხმები. ამას ემატება ისიც, რომ გამსახურდიას მომხრეთა მიერ მოსახლეობის ერთი ნაწილისთვის დარიგებული იარაღი კიდევ უფრო ძაბავს კრიმინოგენურ სიტუაციას). შეუფერხებლად მუშაობს პურკომბინატი, არ იგრძნობა ელექტროენერგიის უკმარისობა, ფუნქციონირებს ზუგდიდის ბაზარი; თუმცა მაღაზიები კვლავ დაკეტილია. არ მუშაობს წარმოება-დაწესებულებები, არ არის სწავლა, ქალაქი და რაიონი განიცდის საწვავის მწვავე დეფიციტს.

მოსახლეობა კვლავ ინფორმაციულ ბლოკადაშია. ადგილობრივი ტელეანძის აფეთქების გამო ვერ ნახულობენ საქართველოს ტელევიზიის გადაცემებს, არ შემოდის პრესა და ამიტომაც დიდი გასავალი აქვს ჭორებს.

კვლავ გადაკეტილია რკინიგზა და სამანქანო გზა. დღეისათვის ზუგდიდში ისე ვერ მოხვდები კაცი, თუ არა შემოვლითი გზით. თუმცა, ამბობენ, რომ სამანქანო გზა მალე უნდა აღდგეს და მატარებლებიც დაიწყებენ მოძრაობასო.

ღმერთმა ქნას!

გულს მოგიკლავს კაცს პრეფექტურის, მილიციის, სამხედრო კომისარიატის, სასტუმრო „ეგრისის" დამწვარი, გაოხრებული შენობების ნახვა. ვიღაც უკეთურებს უსარგებლიათ პოლიტიკური სიტუაციის დაძაბვით და სავაჭრო ცენტრ „თუთარჩელას" შესანიშნავი შენობა ცეცხლისათვის მიუციათ. ადგილობრივ მცხოვრებთა მტკიცებით, ეს ისევ ამ სავაჭრო ობიექტის მუშაკთა ნახელავია, ალბათ, დიდი დანაკლისი ქონდათო. ამას, იმედია, სათანადო ორგანოები დაადგენენ.

ამბობენ, რომ ქალაქისა და რაიონის წარმოება-დაწესებულებათა დიდი ნაწილი გაძარცულა და გაოხრებულიო, ასევე გა[illegible] ადგილობრივი ნავთობბაზაც, სადაც ამჟამად ერთი წვეთი საწვავიც არ ყოფილა.

ყველაფერ ამ უბედურებას ზედ ისიც დამატებია, რომ ზამთარში სათბობის უქონლობით შეჭირვებულ ხალხს უმოწყალოდ გაუჩეხია ტყეთა მასივების მნიშვნელოვანი ნაწილი.

რაც შეეხება მუშაობასა და სწავლის დაწყებას, თუ დაუმორჩილებლობის კომიტეტმა არ გასცა ნებართვა, ვერც სწავლას, ვერც მუშაობას ვერავინ დაიწყებს, უბრალოდ, ვერ გაბედავენ, იმდენადაა მათ მიერ ტერორიზებული მოსახლეობა.

ხალხთან საუბრისას ბევრმა გამოთქვა ნორმალური ცხოვრების სურვილი, ბევრს წყურია მუშაობა, სწავლა, და ეკონომიკურ სიდუხჭირესაც რომ თავი დავანებოთ, უსაქმოდ ყოფნამ, მუდმივმა დაძაბულობამ და ყოველდღიურად მიტინგებზე საათობით დგომამ ადამიანები, უბრალოდ, მორალურად გამოფიტა და დააჩაჩანაკა.

ამგვარი ისტორია მიამბეს: ერთ-ერთი საზოგადოებრივი მეურნეობის ხელმძღვანელს გადაუწყვეტია დაეწყოთ მუშაობა, მეურნეობის წევრებიც მხარში ამოსდგომიან, შეკრებილან და მეორე დღისთვის დაუგეგმავთ თუ ვის რა უნდა გაეკეთებინა. იმავე ღამეს ამ მეურნეობის კანტორა აუფეთქებიათ და ამით მიუნიშნებიათ ამ მეურნეობის წევრებისთვის, სისულელეებს თავი გაანებეთო.

არადა, გაზაფხული ძალაშია შესული და თუ არა ახლა, როდისღა ჩაუყაროს გლეხკაცმა საფუძველი საშემოდგომო ნაყოფს?

მიუხედავად ერთგვარი სტაბილიზაციისა, პოლიტიკური ვნებათაღელვა მაინც არ ცხრება. კვლავ იმართება მიტინგები, ხალხის ერთი ნაწილი ძველებურად მოითხოვს გამსახურდიას დაბრუნებას, ხოლო ქალაქის შესასვლელ-გამოსასვლელს გამსახურდიას მომხრე ადგილობრივი შეიარაღებული რაზმელები აკონტროლებენ, ხელბარგს სინჯავენ და ისეთი შთაბეჭდილება გექმნება კაცს, რომ ზუგდიდი ერთგვარად მოწყვეტილია სამყაროს და საალყო მდგომარეობაში იმყოფება.

ერთგან შევხვდი მხედრიონისა თუ გვარდიის ზოგიერთი უღირსი წევრის მიერ შეურაცხყოფილ და დაჩაგრულ ადამიანებს, რომელთაც თავიანთი საწუხარი გამიზიარეს. ერთმა შაოსანმა მანდილოსანმა კი ასეთი რამ მითხრა: ნუთუ თბილისში ჩვენი მწუხარების, ჩვენი ცრემლების არ სჯეროდათ, რომ საქმე აქამდე მივიდაო?!

დავამშვიდე ქალბატონი. ვუთხარი, რომ თბილისში ცრემლებისაც სჯერათ, თქვენი შეწუხებული ყოფის ამბავიც იციან და ყველაფერს იღონებენ იმისათვის, რომ სამართალმა პური ჭამოს და, უკანონობა დაისაჯოს-მეთქი.

არ ვიცი, რამდენად დავარწმუნე, მაგრამ თბილისში სიმართლის საძებნელად წამოსულ ადამიანებს სამართალი რომ უნდა ვაპოვნინოთ, მე მგონი, ამაზე სხვა აზრი არ არსებობს.

თუ საქართველოში მართლაც დემოკრატიული სახელმწიფოს აშენებას ვაპირებთ, პირველ რიგში იმას უნდა მივაღწიოთ, რომ კანონის წინაშე ყველა თანასწორი იყოს, რომ ჯარისკაცმა თავისი ადგილი იკოდეს, მუშამ — თავისი, ჟურნალისტმა — თავისი და ყველამ ერთად კი მამულისათვის სამსახური დააყენოს ყველაფერზე წინ და არა პირადი „მე".

მახსენდება სულმნათი მერაბ კოსტავას სიტყვები: „ეროვნული მოძრაობა უნდა გვიყვარდეს ჩვენს თავში და არა ჩვენი თავი ეროვნულ მოძრაობაში".

მინდა ოპტიმისტურად დავამთავრო ეს წერილი. მწამს, რომ ზუგდიდში დაძაბულობა დაცხრება, რომ პოლიტიკური მხარეები დიალოგის გზით გადაჭრიან პრობლემებს, ადამიანები მიუბრუნდებიან თავიანთ საქმეებს, სამართალიც პურს ჭამს და ზუგდიდის ქუჩებს კვლავ აავსებს აქაურთა ნათელი, მშვიდი, ღიმილიანი სახეები.

ზუგდიდი-თბილისი
23.03.92 წ.

# ღვაწლმოსილი მეცნიერი და მამულიშვილი



გუშინ, 27 მარტს, 90 წელი შეუსრულდა ქართული კულტურის დიდ მოამაგეს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, პროფესორ ალექსანდრე გიორგის ძე ბარამიძეს. 75 წელია, იგი დაუცხრომელი ძალითა და ენერგიით, მაღალი მამულიშვილური გზნებითა და თავდადებით, საოცარი სიმსუბუქითა და სილამაზით ეწევა ფართო მეცნიერული, პედაგოგიური და სხვადასხვა საზოგადოებრივი საქმიანობის მძიმე ჭაპანს.



ალექსანდრე ბარამიძე დაიბადა და ბავშვობის წლები გაატარა ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჯუნჯუათში, სოფლის მღვდლის ოჯახში. ადგილობრივი ორკლასიანი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სწავლობდა ფოთისა (1912-1918 წწ.) და ხაშურის (1918-1920 წწ.) გიმნაზიებში; 1920-1925 წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტია, 1925-1927 წლებში, როგორც ახლა ჰქვია, — ასპირანტი.

მოწაფეობისა და ნაწილობრივ სტუდენტობის ჟამს მომავალი მეცნიერი ენერგიულად იყო ჩაბმული პოლიტიკურ საქმიანობაში, განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა ეროვნული საკითხისადმი, უთანაგრძნობდა სოციალისტ-ფედერალისტებს და პუბლიცისტურ წერილებს აქვეყნებდა ქუთაისისა და თბილისის ჟურნალ-გაზეთებში. 1918 წლის 4 მარტს გაზეთ ,,მებრძოლთა ხმაში'' დაბეჭდილ მის ერთ-ერთ ამგვარ წერილში მხილებულია საბჭოთა და პირადად ლენინის დამპყრობლური ნაციონალური პოლიტიკა. წერილში ნათქვამია, რომ ,,მოხდა რევოლუცია, გამოცხადდა ერთა თავისუფლება, სრული თვითგამორკვევა, მაგრამ ლენინის თვითგამორკვევა დარჩა ქაღალდზე''. 1921 წლის თებერვალში, როდესაც წითელი რუსეთი საქართველოს თავს დაესხა, სტუდენტი ალექსანდრე ბარამიძე სამშობლოს დამცველ მოხალისეებს შეუერთდა, როგორც სანიტარული რაზმის წევრი, სოღანლუღის ცენტრალურ ფრონტზე გაემგზავრა, ვაზიანში ჩავიდა და იქიდან უკანდახეულ ქართულ ლაშქარს ბათუმამდე გაჰყვა. 1922 წლის 26 მაისს მონაწილეობა მიიღო ამ ეროვნული საზეიმო დღის აკრძალვის გამო გამართულ გაფიცვაში.

ამის შემდეგ ბატონი ალექსანდრე პოლიტიკას თავს ანებებს. 1927 წელს უნივერსიტეტში ასისტენტად დატოვებული ახალგაზრდა მეცნიერი მუშაობას იწყებს აქვე მოთავსებულ სიძველეთსაცავში, მხარში უდგას თავის მასწავლებლებს - კორნელი კეკელიძეს, ივანე ჯავახიშვილს, აკაკი შანიძეს და მათთან ერთად დიდ საკვლევაძიებო და პედაგოგიურ საქმიანობაში ებმება. ზედიზედ აქვეყნებს ფუნდამენტურ გამოკვლევებს ჩვენი კლასიკოსი მწერლების უმთავრეს წარმომადგენლებზე და უკვე მისი განთქმული ,,ნარკვევების'' ორ ტომში-რომელთაგან პირველი ჯერ კიდევ 1932 წელს (მეორე გამოცემა-1945 წ.), ხოლო მეორე-1940 წელს გამოვიდა — ძველი ქართული საერო ლიტერატურის ისტორია ძირითად ხაზებშია ჩამოყალიბებული. აღსანიშნავია, რომ ,,ნარკვევების'' პირველი ტომის მეორე გამოცემას თბილისის უნივერსიტეტის პირველი პრემია მიენიჭა. ამჟამად გამოქვეყნებულია ,,ნარკვევების'' რვა ტომი, სტამბაშია მეცხრე ტომი.

მეცნიერმა თავისი კვლევის არეში მოაქცია სპარსულ ლიტერატურასთან დაკავშირებული პრობლემები და ქართულ ირანისტიკაში ახალი ეტაპი შექმნა. დიდი ამაგი დასდო საყოველთაოდ განთქმული, უზარმაზარი ირანული ეპოსის ,,შაჰნამეს'' ქართული ვერსიების შესწავლის მეტად რთულ საქმეს. ვეებერთელა ქართული ტექსტი შეუდარა სპარსულ დედანს და წარმოაჩინა მათი ურთიერთმიმართება; აღმოაჩინა და გამოსცა მისი XV საუკუნის უნიკალური ქართული პროზაული თარგმანი; გამოავლინა საყურადღებო ნუსხები, გაარკვია ზოგიერთი ქართული ვერსიის ურთიერთკავშირი; მნიშვნელოვანი მასალები მოიძია მთარგმნელთა შესახებ.

ა.ბარამიძის ნაშრომებმა ახალი მიმართულება მისცა ,,ამირანდარეჯანიანის'' კვლევა-ძიებას. გარდა იმისა, რომ შეისწავლა მისი შედგენილობა, დაადგინა ზოგიერთი ეპიზოდის წარმომავლობა და შექმნის დრო, ამასთანავე მოიპოვა და ამ თხზულებას შეუდარა ,,ყისა ჰამზას'' სპარსული ტექსტი და დაასაბუთა ნიკო მარის მიერ წამოყენებული და ჩვენს მეცნიერებაში ფეხმოკიდებული იმ შეხედულების უსაფუძვლობა, ,,ამირანდარეჯანიანი'' ,,ყისა ჰამზას'' თარგმანს რომ წარმოადგენს.

მანვე სპარსულ დედანს შეუდარა ,,ვისრამიანი'' და ნათელყო ქართული თარგმანის თავისებურებანი.

საკითხის სირთულით, მრავალმხრივობით, კვლევის შედეგების სიახლითა და მასშტაბურობით გამოირჩევა ა.ბარამიძის ვრცელი მონოგრაფიები ,,ქილილა და დამანას'' და სულხან-საბა ორბელიანის შესახებ. ამ ნაშრომებში მკვლევარმა საბოლოოდ აღადგინა მსოფლიოში განთქმულ იგავ-არაკთა კრებულის ,,ქილილა და დამანას'' ქართულად თარგმნის დახლართული ისტორია, გამოავლინა თხზულების მანამდე უცნობი თარგმანის ტექსტი, რომელიც ვახტანგ მეექვსეს ეკუთვნის. მოგვცა რა თითოეული მათგანის ღრმა ფილოლოგიური ანალიზი, შუქი მოჰფინა ჩვენი ლიტერატურის არაერთ დიდმნიშვნელოვან მოვლენას. კერძოდ, წარმოაჩინა ის დიდი ძვრები, რომელიც მოხდა ქართული ლექსის ვერსიფიკაციული განახლების სფეროში და გვიჩვენა ამ უმნიშვნელოვანესი კულტურულ-ლიტერატურული პროცესის განვითარებაში სულხან-საბა ორბელიანის დამსახურება. რად ღირს თუნდაც ის შედეგები, რომელიც მოჰყვა, ერთი შეხედვით, პატარა საკითხს — მის მიერ სულხან-საბა ორბელიანის ხელის დადგენას! სწორედ ამის მეოხებით მოხდა შემდეგ სულხან-საბას ავტოგრაფული ნუსხების გამოვლენა, რამაც მკვიდრ მეცნიერულ ნიადაგზე დააყენა ჩვენი სასიქადულო მწერლისა და ლექსიკოგრაფის თხზულებათა გამოცემა და მისი მხატვრული და მეცნიერული მოღვაწეობის შესწავლა.

აქვე დავძენთ, რომ ,,ქილილა და დამანას'' ამ გამოკვლევისათვის 1936 წელს ა.ბარამიძეს მიენიჭა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

მეცნიერმა თავისი წვლილი შეიტანა შავთელისა და ჩახრუხაძის ერთობ ძნელად გასაგები სახოტბო პოემების შესწავლაში. ამ ნაწარმოებებთან დაკავშირებით მას განხილული აქვს თითქმის ყველა ძირითადი საკითხი - ავტორთა ვინაობა, სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებანი, დაწერის თარიღი, მხატვრული ენის თავისებურებანი, ,,აბდულმესიანის'' ქების საგანი, ,,თამარიანის'' შედგენილობა და სხვა.

საგანგებოდ არის აღსანიშნავი ა.ბარამიძის დამსახურება რუსთველოლოგიის დარგში. იგი, დაწყებული თავისი მოღვაწეობის გარიჟრაჟიდან დღემდე, შეუნელებლივ იკვლევს პოემის ყველა არსებით მხარეს, წევრი იყო 1937 წლის საიუბილეო ტექსტის დამდგენი კომისიისა, ხელმძღვანელობდა 1951 და 1957 წლების გამოცემათა მომზადებას. განსაკუთრებით ფასეულია აკაკი შანიძესთან თანამშრომლობით განხორციელებული 1966 წლის პუბლიკაცია, რომლის ტექსტის დადგენაზე ისინი ოთხ წელზე მეტს მუშაობდნენ. ეს არის რუსთველოლოგიის ისტორიაში მაღალ მეცნიერულ დონეზე შესრულებული ერთადერთი მეცნიერულ-კრიტიკული გამოცემა, რომელსაც ხელნაწერთა და ძირითად ბეჭდურ გამოცემათა ვარიანტები ახლავს.

გარდა იმისა, რომ არაერთი სპეციალური გამოკვლევა გამოაქვეყნა ,,ვეფხისტყაოსნის'' საკითხებზე, ბატონმა ალექსანდრემ შექმნა ვრცელი, შემაჯამებელი მონოგრაფია რუსთველზე, სადაც თავმოყრილია, სისტემურადაა დალაგებული და საფუძვლიანად განხილული ,,ვეფხისტყაოსანსა'' და მის ავტორთან დაკავშირებული ყველა ძირითადი პრობლემა. ამ ნაშრომს 1978 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის პრემია მიენიჭა.

უაღრესად დიდი და ნაყოფიერია ა. ბარამიძის ღვაწლი გვიანფეოდალური, XVI-XVIII საუკუნეთა, ქართული საერო მწერლობის შესწავლაში. მან ბევრ შემთხვევაში ყამირი გატეხა და მთელი სისრულით გაგვაცნო ამ პერიოდის უდიდესი წარმომადგენლების — თეიმურაზ პირველის, არჩილის, ვახტანგ მეექვსის, სულხან-საბა ორბელიანის, დავით გურამიშვილის, ბესიკისა და სხვათა შემოქმედება. ამომწურავად დაახასიათა იმდროინდელი ლიტერატურული პროცესები - ადრინდელი რეალიზმი, ვერსიფიკაციული ძიებანი და სხვა.

სწავლულმა შექმნა განმაზოგადებელი ხასიათის ძველი ქართული საერო ლიტერატურის ისტორიის მეცნიერული კურსი. ნიშანდობლივია, რომ ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის ერთტომეულში, რომელიც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ 1954 წელს გამოსცა, ნარკვევები საერო ლიტერატურაზე ბატონ ალექსანდრეს ეკუთვნის (სასულიერო ლიტერატურის მონაკვეთის ავტორია კ.კეკელიძე). გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას (რაც სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია კიდეც), რომ ამჟამად არსებული ცოდნა ძველი ქართული საერო ლიტერატურის შესახებ უმეტეს წილად სწორედ ა.ბარამიძის გამოკვლევებისაგან მომდინარეობს.

1982 წელს წიგნისათვის ,,ძველი ქართული მწერლობის პრობლემები'' (1980 წ.) ა.ბარამიძეს პირველს მიეკუთვნა მისი მასწავლებლის, აკად.კ.კეკელიძის სახელობის რესპუბლიკური პრემია.

ბატონი ალექსანდრეს კვლევის სფეროს განეკუთვნება აგრეთვე ლიტერატურულ-კულტურული ურთიერთობანი ძველ საქართველოში, ახალი და უახლესი ქართული ლიტერატურა, ნ.ბარათაშვილის, ი.ჭავჭავაძის, ა.წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, გ.ტაბიძის, ი.გრიშაშვილის, გ.ლეონიძის, ს.ჩიქოვანისა და სხვათა შემოქმედებათა მიმართება ძველ ქართულ მწერლობასთან, ეროვნული მეცნიერების უდიდესი წარმომადგენლების — ნ.მარის, ე.თაყაიშვილის, ი.ჯავახიშვილის, კ.კეკელიძის, ა.შანიძისა და სხვათა დამსახურება ჩვენი ქვეყნის წარსულის, უპირველესად, სიტყვაკაზმული მწერლობის შესწავლის საქმეში. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია კ.კეკელიძისადმი მიძღვნილი მისი მონოგრაფია და მოგონებების წიგნი ,,ახლო წარსულიდან'', რომელიც უკანასკნელ ხანს დაწერა მეცნიერმა.

ა.ბარამიძე ორგანულად არის დაკავშირებული თანამედროვე ლიტერატურულ ცხოვრებასთან. 1943 წლიდან მწერალთა კავშირის წევრია და პრესიდან თუ ტრიბუნიდან სისტემატურად ეხმაურება ჩვენი მწერლობისა და მეცნიერების აქტუალურ საკითხებს. უდიდესი სარგებლობა მოაქვს მის საქმიანობას ქართული ლიტერატურისა და კულტურის რესპუბლიკის გარეთ გატანასა და სხვადასხვა ხალხებისათვის გაცნობაში. შესაძლებლობისდა მიხედვით, დიდი ხიფათისა და რისკის ფასად მას იმ ძნელბედობის ჟამსაც პირადი და წერილობითი კონტაქტები ჰქონდა უცხოელ ქართველოლოგებთან, მათ შორის ემიგრანტ ქართველ მეცნიერებთან, ვიქტორ ნოზაძესთან, ნინო და კალისტრატე სალიებთან.

ცალკე სასაუბრო თემაა ა. ბარამიძის მოღვაწეობა პედაგოგიურ და საგანმანათლებლო სარბიელზე. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ მას დიდი წვლილი მიუძღვის საშუალო და უმაღლესი სკოლების სახელმძღვანელოების შექმნაში, სხვადასხვა მეთოდიკური ლიტერატურის შედგენაში. იგი უებრო ლექტორი და მეცნიერხელმძღვანელია. მისი სასწავლო ლექციები თუ საჯარო გამოსვლები თავისი მეცნიერული სიღრმითა და მჭერმეტყველებით ყოველთვის მომხიბლავი და მიმზიდველია. ბატონი ალექსანდრეს მიერ აღზრდილია საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებისა და ძველი ქართული ლიტერატურის დარგის მეცნიერმუშაკების მთელი თაობები. ამ უკანასკნელთაგან ბევრი, კარგა ხანია, სამეცნიერო უბნებსა და დარგებს ხელმძღვანელობს. დღეს იშვიათად თუ შეხვდებით ქართული კულტურის ასპარეზზე მომუშავეს, რომელსაც მისი ლექციები არ მოესმინოს, უშუალოდ მისგან ან მისი ნაშრომებიდან არ ესწავლოს ჩვენი ძველი ლიტერატურა, მისადმი სიყვარული და პატივისცემა.



საკმაო დრო გავიდა მას შემდეგ, რაც ბატონმა ალექსანდრემ თავისი მშობლიური სოფლის, ჯუნჯუათის სკოლას პატარა ბიბლიოთეკა გაუხსნა, რომელსაც ყოველწლიურად უწერს ჟურნალ-გაზეთებს და ახალი წიგნებით ამარაგებს.

ა.ბარამიძე მუდამ ფართო სამეცნიერო-ორგანიზაციულ და საზოგადოებრივ საქმიანობას ეწევა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სხვადასხვა დროს ეკავა დეკანის, პრორექტორის, კათედრის გამგის, გორის, ქუთაისისა და თბილისის პედაგოგიურ ინსტიტუტებში — კათედრის გამგის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში — საზოგადოებრივი განყოფილების აკადემიკოს-მდივნის, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ძველი ქართული ლიტერატურისა და რუსთველოლოგიის განყოფილებათა ხელმძღვანელის, დიდხანს — დირექტორის, ჟურნალ ,,მაცნეს'' ენისა და ლიტერატურის სერიის მთავარი რედაქტორის თანამდებობანი; იყო სხვადასხვა სამეცნიერო საბჭოებისა და კომისიების თავმჯდომარე, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის წევრი, უნგრეთ-საქართველოს მეგობრობის საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე, თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატი და ა.შ.

ა.ბარამიძე მრავალი ღირსებით დაჯილდოებული პიროვნებაა. დიდი ნიჭისა და შრომის უნარის გარდა, იგი მომხიბლელია თავისი ლამაზი, ახოვანი გარეგნობითა და შინაგანი მშვენიერებით, კეთილშობილური, მიმტევებლური ბუნებით, საოცარი თვითდისციპლინითა და პუნქტუალობით, უმაღლესი, კრისტალური ზნეობით.. იმ დროს, როცა კორუპციამ ჩვენი საზოგადოების უდიდესი ნაწილი წალეკა და ინტელიგენციაშიც შეაღწია, ბატონი ალექსანდრე 19 წლის განმავლობაში შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი [illegible] დებოდა და არც ერთხელ თავს უფლება არ მისცა, წლიური პრემია აეღო, თუმცაღა ყოველწლიურად მნიშვნელოვან საინსტიტუტო სამეცნიერო ნაშრომს ქმნიდა.

ქართველ ხალხს ა.ბარამიძისათვის სიყვარული, პატივი და დიდება არასოდეს დაუკლია. ამიტომ, ვინც მის მიერ განვლილ გზას ჯეროვნად არ იცნობს, იგი ყოველთვის ია-ვარდით მოფენილი ჰგონია. სინამდვილეში კი მასაც ჰქონდა ყოფნა-არყოფნის დღეები! დიდი შიში ჭამა და ბედად გადარჩა 1927 წელს, როდესაც სუკის ბობოლა ულმობელმა მოხელემ, დეკანოზოვმა, თავისთან დაიბარა და ტკბილი სიტყვებით.. თანამშრომლობა მოსთხოვა, ხოლო უარი რომ მიიღო, გვიანობამდე დაიტოვა და შინ მუქარით გაუშვა. მთლიანად იწვნია 30-იანი წლების დასაწყისში მძვინვარე ,,კონდრატიევშჩინისა'' და ომისშემდგომ პერიოდში ,,კოსმოპოლიტიზმის'' წინააღმდეგ გაჩაღებულ კამპანიათა მთელი სიმწვავე. თავადაც არ უწყოდა და ახლახან გახდა ცნობილი, 1937 წლის მრისხანე დღეებში რა დამოკლეს მახვილი ალმართულა მის თავს: სუკის განწირულთა სიაში იგი აღურიცხავთ როგორც ფაშისტური, კონტრრევოლუციური, ნაციონალისტური ორგანიზაციის აქტიური წევრი!

მადლობა ღმერთს, ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა!

მიუხედავად ცხრა ათეული წლის სიმძიმისა, ა.ბარამიძე კვლავ მხნედ და გაუნელებელი ენთუზიაზმით აგრძელებს თავის მრავალმხრივ მოღვაწეობას: ლექციებს კითხულობს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, არის შოთა რუსთველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მრჩეველი და, როგორც ავტორი და რედაქტორი, ენერგიულად მუშაობს ქართული ლიტერატურის ისტორიის მრავალტომეულის მომზადებისათვის, ხოლო, როგორც ,,ვეფხისტყაოსნის'' აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის სარედაქციო კოლეგიის მთავარი რედაქტორი, დაუღალავად იღწვის რუსთველის დიდებული ქმნილების მეცნიერულ-კრიტიკული გამოცემის საშვილიშვილო საქმის განხორციელებისათვის. ბოლო დროს დაამთავრა და გამომცემლობას გადასცა მოგონებათა წიგნის (,,ახლო წარსულიდან'') მეორე ნაწილი. უკანასკნელ ხანს არ გამოსულა რაიმე საყურადღებო ნაშრომი ძველი ქართული ლიტერატურის დარგში, რომელსაც ბატონი ალექსანდრე არ გამოხმაურებოდეს და თავისი პირუთვნელი შეფასება არ მიეცეს.

ღვაწლმოსილი მეცნიერი ასევე სისტემატურად ეხმაურება ერის მნიშვნელოვან საჭირბოროტო საკითხებს: ტელევიზიით გადმოიცა და ბევრს ახსოვს 9 აპრილის ტრაგედიის გამო მისი უაღრესად შთამბეჭდავი, გაბედული გამოსვლა 11 აპრილს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში უმაღლეს ფორუმზე, საქართველოს მთავრობისა და საკავშირო ხელისუფლების წარმომადგენელთა წინაშე, მაშინ, როდესაც ჯერ არავინ იცოდა, მოვლენები როგორ და საითკენ განვითარდებოდა!

ბატონი ალექსანდრე ჭაბუკური გატაცებით შეხვდა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას და ყოველნაირად დაუჭირა მხარი ახლადარჩეულ მთავრობას, მაგრამ არც კრიტიკას მორიდებია. ამის დასტურია მისი გამოსვლა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, დიდ სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე 1991 წლის 30 სექტემბერს, რომელიც პრინციპულობითა და ემოციური ძალით არაფრით ჩამოუვარდებოდა აკადემიაში მის ადრინდელ გამოსვლას.

დიახ, 90 წლის ალექსანდრე ბარამიძე ჩვენდა გასახარად და გასამხნევებლად კვლავ მუხლჩაუხრელად დგას ერის სამსახურში. ჟუავნ მრავალჟამიერ!

ბორის დარჩია
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

ბიბლიოთეკა

# მარტის თვეა ჩვენი...

საშუა მიიწურება მარტი — გაზაფხულის პირველი თვე, რომელმაც, მიუხედავად ზოგიერთი ნათელი დღეებისა, ოდნავადაც ვერ უწამლა ჩვენს ნაზამთრალ — ეჭვით, ზიზღითა და გაუტანლობით აღსავსე — გულებს. ვერ იქნა და ვერ გადავლახეთ უნდობლობის ის ყრუ კედელი, რომელიც ქართველებს შორის სამოცდაათწლიანი მონობის შედეგად აღიმართა და რომელიც მხედველობის უნარს გვისუსტებს და მოძრაობას გვიშლის. თუმცა ძალიან ბევრს ხომ-არ მოვითხოვთ მარტისაგან? ერთი სიმღერისა არ იყოს, მარტი ხომ სწორედ ის თვეა, რომელიც თავისი ჭირვეულობითა და მერყევი ბუნებით ყველაზე მეტად შეესატყვისება ჩვენს ხასიათს.

ჩვენმა ამ ჭირვეულმა და უკიდურესად მერყევმა ხასიათმა კიდევ ერთხელ იჩინა თავი ედუარდ შევარდნაძის ჩამოსვლისთანავე. განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ამ მხრივ ეროვნული მოძრაობის რადიკალური ფრთის წარმომადგენლები.

ერთნი ხმალამოწვდილნი შეხვდნენ სამშობლოში მის დაბრუნებას, მეორენი კი აღტაცებითა და აპლოდისმენტებით.

თუმცა პოლიტიკოსებს რას გაუგებ კაცი! ღმერთმა იცის როდის არიან ისინი გულწრფელნი. მაშინ, როცა ლანძღავენ ვინმეს, თუ მაშინ, როცა აქებენ.

დაგვავიწყდა. არიან მესამე კატეგორიის პოლიტიკოსებიც, რომლებიც ჯერჯერობით უმძრახად არიან, არც ავს ამბობენ და არც კარგს. ასე ვთქვათ, ელოდებიან მოვლენების განვითარებას.

ასეა თუ ისე, ბატონი ედუარდ შევარდნაძე საქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეა და ამ პოსტზე მის ორკვირიან მოღვაწეობას უკვე მოაქვს შესამჩნევი შედეგები.

უწინარეს ყოვლისა, აღსანიშნავია საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა-აღიარება კიდევ თორმეტი სახელმწიფოს მიერ. ორი დღის უკან ჩვენი რესპუბლიკა შეუერთდა ჰელსინკის პროცესს. ამერიკის ადმინისტრაცია და საქმიანი წრეები რეალურად ლაპარაკობენ საქართველოსთან დიპლომატიურ კავშირურთიერთობებზე. ერთი სიტყვით, წალმა შემოგვხედა მსოფლიომ.

თუმცა, ნუთუ დაგვავიწყდება, რომ მარტის თვეა და ზოგიერთი ჩვენი პოლიტიკოსი ჯერაც შავშევით ჭირვეულობს.

ასე მაგალითად, მათ აღარ აკმაყოფილებთ ის, რომ დასავლეთის ქვეყნები საქართველოს ცნობენ ჩვეულებრივი წესით, როგორც „სსრკ-ს“ დაშლის შემდეგ დარჩენილ სუბიექტს (სახელმწიფოს), და არა როგორც 1921 წლის დემოკრატიული საქართველოს მემკვიდრეს.

ჩვენში დარჩეს და, მართლაც ვერაფერი შვილია სამოცდაათწლიანი კომუნისტური საქართველოს მემკვიდრეობა და მას დემოკრატიული საქართველოს მემკვიდრეობა სჯობია. მაგრამ ზემოხსენებულ ჭირვეულ პოლიტიკოსებს რეალობის გრძნობა ღალატობთ. ამიტომ რაკი ასეა, რაღა ჟორდანიასეული საქართველოს მემკვიდრეობას მივტირით? უფრო არ აჯობებს ბარემ დავით აღმაშენებლის ან თამარისდროინდელი საქართველოს მემკვიდრეებად ვაღიარებინოთ თავი მსოფლიოს! მე შენ გეტყვი და, საჭირო მეფეს ვერ ვიშოვით! რა ვუყოთ მერე, თუ ზნეობა და კულტურა არა გვაქვს იმ კარგი წინაპრების შესაფერი! მახლას, სამაგიეროდ ქართველები ხომ ვართ!

ხუმრობა განზე იყოს, და მართლა საკვირველია ასეთი ახირება, თითიდან გამოწოვილ პრობლემებზე თავისმტრევა.

დავიჯეროთ, ვითომ დიდი მნიშვნელობა აქვს მსოფლიოსათვის კარგი მამის ცუდი შვილები ვიქნებით თუ ცუდი მამის ცუდი შვილები? რაც არ უნდა ვმალოთ ჩვენი წარსული, ხომ ფაქტია, რომ საბჭოთა კავშირის წევრები ვიყავით 70 წელი და ეს იმპერია რომ არ დაშლილიყო (რაც ერთი და ორი კაცის დამსახურება არ არის), სულაც ანგელოზები რომ ვყოფილიყავით, კაცისშვილი არ გვცნობდა არც პეტრეს მემკვიდრედ და არც პავლესად?!

ჩემი აზრით, ის კი არ არის საგანგაშო და სადავიდარაბო, თუ როგორი სახით ან ვის მემკვიდრედ გვცნობს მსოფლიო, არამედ ის, თუ როგორ მოვიქცევით ცნობის შემდგომ, რას შევქმნით კარგსა და ღირებულს. ანუ როგორი შთამომავლები ვიქნებით. აი ამაზე უნდა იხარჯებოდეს ჩვენი ძალისხმევა და არა დემაგოგიურ ფუჭსიტყვაობაში, რომლის ტრაგიკული ნაყოფი უკვე მოვიმკეთ და კვლავაც მოვიმკით.

გასული თვის შუა რიცხვებში კვლავ ავბედითი ამბები დატრიალდა ზუგდიდის რაიონში, სადაც პრეზიდენტ გამსახურდიას ბუნკერიდან წასვლის შემდგომ, შეიძლება ითქვას, მშვიდი დღე არც ყოფილა. როგორც ამბობენ, რაც დაუმორჩილებლობის კომიტეტმა დააკლო იქ მცხოვრებთ, ის ზოგიერთმა ულირსმა „სამართალდამცველმა“ დაუმატა.

არავინ იცის ზუსტად, რა ხდება იქ დღეს და როგორ განვითარდება მოვლენები ხვალ. მაგრამ იმაზე, რაც იყო და ვიცით, ყველას გვმართებს დაფიქრება, უწინარეს ყოვლისა კი მათ, ვინც შეუმოწმებელ ფაქტებს ეყრდნობიან და თავისი ეფექტური გამოსვლებით ცეცხლზე ნავთს ასხამენ.

სოციალურ-ეკონომიკური და კრიმინოგენული მდგომარეობა კვლავ იმდენად მძიმეა, ისევ იმდენი რამის დეფიციტი და ნაკლებობა სუფევს საქართველოში, რომ ამის უბრალო ჩამოთვლა გაგვიხეთქავს გულს. მოგეხსენებათ, ცარიელი სიტყვებით გაჭირვებაშიმშილს და ქურდობა-ყაჩაღობას ვერა. მოერევი კაცი. მხოლოდ გულის მოფხანა შეიძლება. გულის ფხანა კი, — დიდი ილიას თქმისა არ იყოს, — ქეცმა იცის. ქეცისაგან კი ღმერთმა ყველა დაგვიფაროს!

კობა ლიკლიკაძე

---

ბატონო რედაქტორო!

დაბეჯითებით გთხოვთ ცოტა მოგვიანებით, მაგრამ მაინც გამოაქვეყნოთ ეს წერილები, მერწმუნეთ, მათში არაფერი არ არის გადამეტებული, დაკლებული კი ბევრია. ასე რომ, თუ ვინმე შეურაცხყოფად და ცილისწამებად მიიღებს მათ, მზად ვარ პასუხი ვაგო თითოეული წინადადებისათვის, თითოეული სიტყვისათვის.

ღრმა პატივისცემით თეიმურაზ სახლთხუციშვილი, გარდაბნის რაიონის საკრებულოს მდივანი

# ღია წერილი

ბატონო გურამ, მერწმუნეთ, პირველად მიწევს მთავრობის წარმომადგენლისთვის ამგვარი წერილის წერა. ადრე ამისი არც სურვილი მქონია და არც საჭიროება. ამიტომ, წინასწარ ბოდიშს ვიხდი, თუ ჩემს წერილში არ იქნება დაცული ყველა ის ეთიკური ნორმა, რომელიც აუცილებელია ასეთი მიმოწერისათვის. თუმცა, თავიდანვე უნდა გითხრათ, რომ წერილის მოწერა გადამაწყვეტინა იმ ორმა შეხვედრამ, იანვრის თვეში რომ შედგა თქვენს კაბინეტში. პირველი შეხვედრა მოხდა 22 იანვარს, როდესაც ჩატარდა რაიონების საკრებულოთა მდივნებისა და სამხედრო საბჭოს რწმუნებულთა თათბირი. ამ თათბირზე თქვენ ჩემშიც და, ალბათ, სხვა მონაწილეებშიც დატოვეთ ისეთი შთაბეჭდილება, რომ ჩვენ გვესაუბრებოდა მაღალი თანამდებობის პირი, რომელიც თანაბრად ზრუნავს ხელისუფლების პრესტიჟზეც და ხალხის ინტერესებზეც. კერძოდ, როდესაც ბატონმა დემირ ნოზაძემ დასვა საკითხი იმის შესახებ, რომ აუცილებელი იყო საკრებულოთა გამგეობების არჩევნების დაჩქარება, თქვენ განაცხადეთ: „დაყოვნება ჩვენთვის (ე.ი. ხელისუფლებისათვის) დამღუპველი იქნება“ და მოუწოდეთ, რაც შეიძლება მალე მიეწოდებინათ საკრებულოებისათვის სათანადო დოკუმენტები. იმ თათბირიდან წამოსული ვფიქრობდი: მადლობა ღმერთს, მოვესწარით ხელისუფლებას, რომელიც ანგარიშს უწევს ხალხს, მის მიერ არჩეულ საკრებულოებს! სამწუხაროდ, ეს რწმენა დიდხანს არ შემრჩენია. უფრო სწორად, იგი გამიქრა თქვენთან მეორედ შეხვედრის შემდეგ. ეს შეხვედრა, ალბათ, გახსოვთ, შედგა 29 იანვარს, როდესაც ჩვენს რაიონში უკვე შემოღებული იყო რესპუბლიკური მმართველობა! (აქვე საჭიროდ ვთვლი აღვნიშნო, რომ სათანადო დოკუმენტი, რომლის საკრებულოებისათვის დროულად მიწოდებასაც თქვენ მოითხოვდით თქვენი აპარატის თანამშრომლებისაგან, ჩვენ მივიღეთ 24 იანვარს, პარასკევს, ხოლო რესპუბლიკური მმართველობა შემოღებული იქნა 27 იანვრიდან!). ამ შეხვედრაზე თქვენ უკვე აღარ ჰგავდით იმ კაცს, რომელიც ხალხის ინტერესებს ითვალისწინებდა. აქ თქვენ მხოლოდ ხელისუფლების პრესტიჟს იცავდით. აკი ჩვენს სამართლიან შენიშვნაზე, თუ რატომ არ მოგვეცა გამგეობის არჩევნების ჩატარების უფლება, თქვენ ძალიან მარტივად გვიპასუხეთ: „ვინც მოასწრო, აირჩია გამგეობა. თქვენ ვერ მოასწარით და რა გიყოთ, ამიტომ შემოვიღეთ რესპუბლიკური მმართველობა და დავნიშნეთ რაიონის გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი; რამდენიმე თვეში არჩევნები იქნება და ვინც გინდათ, ის აირჩიეთო!“ მოსწრება-არმოსწრების შესახებ აქ საუბარს არ გავაგრძელებ, რადგან სხვებზე უკეთ თქვენ იცით, რომ ასეთი განცხადების არც იურიდიული და არც მორალური უფლება არ გქონდათ. მე უფრო სხვა ფაქტი მაწუხებს. საქმე ისაა, რომ თქვენ არ მოგერიდათ ტყუილი გეთქვათ ჩვენთვის, როდესაც განგვიმარტეთ, რომ გამგეობის თავმჯდომარეს არ შეცვლიდით (თუმცა ჩვენ ეს არც მოგვითხოვია, თუ კი რესპუბლიკური მმართველობა დარჩებოდა), სამაგიეროდ შეგვპირდით, რომ არ დაამტკიცებდით გამგეობის შემადგენლობას, თუ იქ აღმოჩნდებოდა თუნდაც ერთი პიროვნება, რომლის კანდიდატურაც არ იქნებოდა შეთანხმებული საკრებულოსთან. ასეთმა დაპირებამ ჩემში კვლავ აღადგინა თქვენდამი, როგორც ხელისუფლების ოფიციალური წარმომადგენლისადმი რწმენა. თქვენი დაპირების შესახებ მე ვაცნობე საკრებულოს. იგი ცნობილი გახდა რაიონის მოსახლეობისათვისაც, რადგან დარწმუნებული ვიყავი, რომ თქვენს სიტყვას არ გადაუხვევდით. მაგრამ, როდესაც 17 თებერვალს გამოქვეყნდა რაიონის გამგეობის შემადგენლობა, დავრწმუნდი, რომ ვცდებოდი.

ბატონო გურამ, ნუთუ აღარ გაგახსენდათ თქვენი დაპირება, თუნდაც ერთი პიროვნების კანდიდატურა რომ აღმოჩნდეს თქვენთან შეუთანხმებელი, ასეთ გამგეობას არ დავამტკიცებთო? განა თქვენ არ მოითხოვდით კატეგორიულად, გამგეობის თავმჯდომარე მარტო არ მოვიდეს, ერთად მოდითო? ვის ჰკითხეთ, შეთანხმებული იყო თუ არა გამგეობის წევრების კანდიდატურები საკრებულოსთან ან, საერთოდ მოსახლეობასთან? ან ვინ არიან გამგეობის წევრები, თუ დაინტერესდით? საკრებულოები ზვიადისტებისაგან შედგება, მოგახსენეს პირველ შეხვედრაზე და შეშფოთდით. თუმცა მე იმავე თათბირზე დავასაბუთე ასეთი ინფორმაციის სრული უსაფუძვლობა (ამის შესახებ მოხსენებითი ბარათით ვაცნობე ბატონ სამხედრო საბჭოს წევრებს და ბატონ პრემიერ-მინისტრს), მაგრამ თქვენ, როგორც ჩანს, დაინტერესებული იყავით რაიონში რესპუბლიკური მმართველობის შემოღებით და, ცხადია, სასურველი სინამდვილედ ჩათვალეთ. თუ ეს ასე არაა, რატომ არ დაინტერესდით, იქნებ თქვენს მიერ დამტკიცებული გამგეობის წევრებს შორის არიან ისეთებიც, ორიოდე თვის წინ რაიონში ოპოზიციონერთა სიებს რომ ადგენდნენ მაშინდელი მთავრობისათვის გადასაცემად? იქნებ გადასცეს კიდეც, მაგრამ ის სიებიც ცეცხლმა შთანთქა ისევე, როგორც ბევრი სხვა ქაღალდი?! თუ ეს ყველაფერი საჭირო არ იყო და თქვენ მხოლოდ ზრდილობის გულისთვის გამოგვისტუმრეთ ასეთი დაპირებით? განა ოფიციალური პირი ასე უნდა არიგებდეს დაპირებებს? ხომ აჯობებდა, რომ გეთქვათ: რესპუბლიკური მმართველობაც შემოვიღეთ, გამგეობის თავმჯდომარეც დავნიშნეთ და გამგეობის შემადგენლობასაც ისე დავამტკიცებთ, არავის შევეკითხებითო და ყოველივე ეს აგეხსნათ სამხედრო მდგომარეობით?

ბატონო გურამ, არ ვიცი, თქვენ როგორ უყურებთ ამ საქმეს, მე კი ვფიქრობ და მწამს, რომ ოფიციალური პირი შეიძლება შეცდეს, შეიძლება შეცდომაში შეიყვანონ, მაგრამ მან არ უნდა მოატყუოს, შეცდომაში არ უნდა შეიყვანოს არა მარტო მთელი რაიონის მოსახლეობა, არამედ ერთი ადამიანიც კი. რადგან უნდა ახსოვდეს, რომ მის ზურგს უკან ის ხელისუფლება დგას, რომლის წარმომადგენელიც იგია. მთავრობის შეცდომები მისი ცალკეული წევრების შეცდომებისაგან შედგება, თუნდაც მათ ეს შეცდომები მეტად უმნიშვნელოდ ეჩვენებოდეთ. ხელისუფლებაზე წარმოდგენას ხალხი, ძირითადად, მისი წარმომადგენლების მოქმედების მიხედვით აგებს...

ბოდიშს გიხდით დიდაქტიკური ტონისათვის, მაგრამ ამის საბაბი თქვენ თვითონ მომეცით, თორემ, როგორც დასაწყისშიაც ვთქვი, აქამდე წერილის წერის არც სურვილი მქონია და არც საჭიროება.

---

# ღია წერილი

საქართველოს სამხედრო საბჭოს წევრებს

**ბატონ თენგიზ კიტოვანს,**

**ბატონ ჯაბა იოსელიანს,**

საქართველოს რესპუბლიკის დროებითი მთავრობის პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელს

**ბატონ თენგიზ სიგუას,**

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“,**

**გაზეთ „საქართველოს“**

ბატონო სამხედრო საბჭოს წევრებო, ბატონო პრემიერ-მინისტრო! ჩემს მოვალეობად ვთვლი გაცნობოთ, რომ გარდაბნის რაიონის საკრებულოს შეუძლებლად მიაჩნია იმუშაოს ისეთ პირობებში, როდესაც ხელისუფლება სიტყვით ერთს ამბობს, საქმით კი სულ სხვას აკეთებს. კერძოდ:

საკრებულოს არ შეუძლია იმუშაოს ისეთ პირობებში, როდესაც ხელისუფლება ოფიციალურად აცხადებს, რომ აუქმებს დიქტატორული რეჟიმის მიერ შემოღებულ ინსტიტუტს — პრეფექტურას, მთელ ძალაუფლებას გადასცემს ხალხის მიერ არჩეულ საკრებულოებს (რამაც საყოველთაო მოწონება ჰპოვა), ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ უკან მიაქვს თავისი სიტყვები, აწესებს რესპუბლიკურ მმართველობას ისეთ რაიონშიც, სადაც ამისი არც საფუძველი არსებობდა და არც აუცილებლობა და ნიშნავს რაიონის ხელმძღვანელ ორგანოს, რომელიც პრეფექტურის ინსტიტუტისგან განსხვავდება მხოლოდ იმით, რომ ახლა მას ეწოდება რაიონის გამგეობა, ხოლო ხელმძღვანელ პირს — პრეფექტის ნაცვლად — გამგეობის თავმჯდომარე;

საკრებულოს არ შეუძლია იმუშაოს ისეთ პირობებში, როდესაც ხელისუფლება აქვეყნებს (1992 წლის 10 იანვარი) დადგენილებას რაიონის საკრებულოთა მიერ გამგეობის არჩევის უფლების შესახებ, ნიშნავს არჩევნების ვადას, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ (1992 წლის 16 იანვარი) გამოსცემს განკარგულებას (თუმცა, არადემოკრატიულობის დაბრალების შიშით, იგი ოფიციალურად არ ქვეყნდება), რომელიც საკრებულოებს დაუდგენელი ვადით უჩერებს ამ უფლებას და, ამდენად, წინა ხელისუფლების დროს ისედაც შეზღუდული უფლებების მქონე ორგანოს — საკრებულოს — გადააქცევს სრულიად უუფლებო ორგანოდ;

საკრებულოს არ შეუძლია იმუშაოს ისეთ პირობებში, როდესაც ხელისუფლების ოფიციალური წარმომადგენლები ჯერ აზუსტებენ აირჩევს თუ არა საკრებულო მათთვის სასურველ კანდიდატურას საკრებულოს გამგეობის თავმჯდომარედ და მხოლოდ ამის შემდეგ რთავენ არჩევნების ჩატარების ნებას, ხოლო თუ ასეთი გარანტია ვერ მიიღეს საკრებულოსაგან, მიუთითებენ აღნიშნულ (1992 წლის 16 იანვრის) განკარგულებაზე, მიუხედავად მისი საყოველთაობისა, თანაც, რაც ყველაზე მეტად აღმაშფოთებელია, უკვე რესპუბლიკური მმართველობის შემოღების შემდეგ, საკრებულოსვე ადანაშაულებენ გამგეობის აურჩევლობაში;

საკრებულოს არ შეუძლია იმუშაოს ისეთ პირობებში, როდესაც ხელისუფლების ოფიციალური წარმომადგენლები ანგარიშს უწევენ არა მოსახლეობის, არამედ ცალკეულ პირთა ინტერესებს, ხოლო საკრებულოს სამართლიან მოთხოვნებს უპირისპირებენ მუქარას მათი (ე.ი. საკრებულოების) საერთოდ გაუქმების შესახებ;

საკრებულოს არ შეუძლია იმუშაოს ისეთ პირობებში, როდესაც ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენელი საკრებულოს წევრთა თანდასწრებით სამართლიანად კიცხავს დროებითი მთავრობის მიერ დანიშნულ რაიონის გამგეობის თავმჯდომარეს გამგეობის შემადგენლობის თვითნებურად შექმნისათვის, მოითხოვს მისგან დასამტკიცებლად წარადგინოს გამგეობის შემადგენლობა, რომელსაც აირჩევს საკრებულო მოსახლეობის სხვა წარმომადგენლებთან ერთად, შედეგებს კი მოუცლელობისა თუ სხვა მიზეზების გამო ყოველგვარი რეაგირების გარეშე ტოვებს;

და ბოლოს, საკრებულოს არ შეუძლია იმუშაოს ისეთ პირობებში, როდესაც ახალი ხელისუფლება სამართლიანად უწოდებს წინა ხელისუფლებას არადემოკრატიულს, დიქტატორულს, მისი ცალკეული წარმომადგენლები კი ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ადგილებზე შეიცვალოს მხოლოდ ფორმა, შინაარსი კი უცვლელი დარჩეს!

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიმაჩნია საკრებულოს მორიგ სხდომაზე დაისვას საკითხი მისი თვითლიკვიდაციის შესახებ, რადგან უუფლებო ორგანოს არსებობას არავითარი გამართლება არ მოეძებნება. ყოველ შემთხვევაში, დეპუტატები მაინც გათავისუფლდებიან მოსახლეობის წინაშე ნაკისრი პასუხისმგებლობისაგან.

ბატონო სამხედრო საბჭოს წევრებო, ბატონო პრემიერ-მინისტრო, მე ღრმად მწამს, რომ დღევანდელ რთულ ვითარებაში, როდესაც რესპუბლიკა დგას უამრავი სოციალური და პოლიტიკურ-ეკონომიკური პრობლემის პირისპირ, თითოეული ქართველის, საქართველოს ყველა მოქალაქის ვალია ხელი შეუწყოს სტაბილიზაციას, შექმნილი მდგომარეობის გაუმჯობესებას. ამ მიმართვის მიზანიც სწორედ ეს არის. ამასვე ვასაბუთებდი თქვენს სახელზე გამოგზავნილ მოხსენებით ბარათებში, რომლებსაც, შეიძლება, თქვენამდე არც მოუღწევია. არაა გამორიცხული, რომ ამ მიმართვამაც ვერ მოაღწიოს. ამიტომ გადავწყვიტე გავუგზავნო გაზეთებს „საქართველოს რესპუბლიკას“ და „საქართველოს“.

5.III — 92 წ.

ღრმა პატივისცემით
თეიმურაზ სახლთხუციშვილი
გარდაბნის რაიონის საკრებულოს მდივანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სესხი მომავალი თაობებისაგან

**ომარ ჯანელიძე**



ამჟამინდელმა პოლიტიკურმა დესტაბილიზაციამ და მანამდე დატრიალებულმა ტრაგიკულმა მოვლენებმა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენეს საქართველოს სახალხო მეურნეობას. მაგრამ თუ ნაღვლიანი იუმორით მოვიშველიებთ ცნობილ რუსულ გამოთქმას - არ არსებობს ცუდი კარგის გარეშეო და გავაანალიზებთ რესპუბლიკაში დღეს მიმდინარე პროცესებს, დავინახავთ, რომ ეკონომიკის განვითარების იძულებითი შეჩერებით საქართველოს ბუნებამ თითქოს ამოისუნთქა. კერძოდ, ფაბრიკა-ქარხნებიდან, მანქანა-დანადგარებიდან, მოწყობილობებიდან, სტაციონალური და სხვა წყაროებიდან აღარ ხდება დიდი რაოდენობით მომწამლავი და მავნე აირების, გაზების, მტვრის და სხვა საშიში კომპონენტების დიდი რაოდენობით გამოფრქვევა. საგრძნობლად იკლო რესპუბლიკის წყალსატევებში ტოქსიკური და სხვა მავნე ნივთიერებებით დაბინძურებულმა ჩანადენებმა. შემცირდა რადიაციული და სხვა სახის გამოსხივება, ელექტრომაგნიტური ტალღები. იკლო ბრაკონიერთა თარეშმა და ა.შ.

დიახ! ბუნებამ კი ამოისუნთქა, მაგრამ რის ხარჯზე?! რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ნგრევის, კავშირების მოშლის, იზოლაციის, პროდუქციის საყოველთაო დეფიციტის, შიმშილის, სიცივის, ტრანსპორტის პარალიზების ხარჯზე.

ამან კი, რა პარადოქსალურადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, სხვა ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებთან შედარებით შეიძლება ერთგვარი უპირატესობაც მოგვანიჭოს. კერძოდ, გვეძლევა უნიკალური შესაძლებლობა კი არ გადავაკეთოთ ან შევცვალოთ, არამედ თითქმის ახლიდან ჩამოვაყალიბოთ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ინფრასტრუქტურა. მივაღწიოთ იმას, რომ საერთო სახალხო დოვლათში თითოეული დარგის ქვოტა განგარიშებულად ოპტიმალური გახდეს. და ვინაიდან ყოველივე თითქმის თავიდან უნდა დავიწყოთ, შესაძლებლობა გვეძლევა სხვებთან შედარებით მივაღწიოთ ამას უფრო სწრაფად და სრულყოფილად. ამისათვის კი (ჩემის ღრმა რწმენით) უნდა შეიქმნას გამოწვლილვით გაანალიზებული და ყოველმხრივ განგარიშებული საქართველოს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების კონცეპტუალური მოდელი და დამუშავდეს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის სტრატეგია.

ვფიქრობ, სახალხო მეურნეობის განვითარების კონცეპტუალური მოდელის შესაქმნელად რესპუბლიკის ყველა მოქმედი და პერსპექტიული დარგის (დაახლოებით ორასამდე), აგრეთვე ყველა რაიონის (ასამდე) მეცნიერ-სპეციალისტებისაგან და ეკონომისტებისაგან დაკომპლექტებულმა ჯგუფებმა, უნდა შეადგინონ დარგობრივი და ტერიტორიალური განვითარების მიზნობრივი პროგრამები. პროგრამები უნდა დაეფუძნოს დღევანდელ სინამდვილეს, მომავლის პროგნოზს, აგრეთვე ამომწურავ და დაზუსტებულ ინფორმაციას რესპუბლიკის წიაღისეული მარაგების და საერთოდ, ბუნებრივი რესურსების პოტენციალის შესახებ, ძირითადი ფონდების ინვენტარიზაციას, რეკრეაციულ ან ენერგეტიკულ პოტენციალს და სხვა. უნდა გაანგარიშდეს თითოეული დარგის განვითარების პერიოდის ხანგრძლივობა და რიგითობა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამ ეტაპზე უნდა შეიქმნას საქართველოს სამეურნეო პოტენციალის (მათ შორის ბუნებრივის) და მისთვის საინტერესო უახლესი ტექნოლოგიების შესახებ მონაცემთა საიმედო ინფორმაციული ბანკი, რისი შექმნაც მხოლოდ სტატისტიკური სამსახურებისა და ეკონომიკის სამინისტროს მეშვეობით პრაქტიკულად შეუძლებელია. ეს უნდა იყოს მოსამზადებელი პერიოდი და უნდა მოიცავდეს დროის საკმაოდ მცირე მონაკვეთს, ვთქვათ, ორ ან სამ თვეს. ასეთი ინფორმაციული ბანკი უნდა შეიქმნას საქართველოს მთელი ინტელექტუალური პოტენციალის სრული მობილიზებით.

სახალხო მეურნეობის განვითარების კონცეპტუალური მოდელის შექმნა დაგვეხმარება ბევრი სხვა საჭირბოროტო პრობლემების სწორად გააზრებაშიც. მიწა უბრუნდება ნამდვილ პატრონსა და მომავალ-ქომაგს; რა თქმა უნდა, კარგია დროს რომ არ ვკარგავთ და ამავე გაზაფხულზე დაუბრუნდება მიწა გლეხებს, რათა გაიზარდოს მისი პროდუქტიულობა; ამასთან, უნდა განისაზღვროს გაცემული მიწის ნაკვეთების ხარისხის სტანდარტები; უნდა ვიცოდეთ, ვის რამდენად დაბინძურებულ და გამოფიტულ მიწას ვაძლევთ, რათა თავიდან ავიცილოთ ზედმეტი ვნებათაღელვა. ამისათვის კი ამ პროფილის ყველა უწყების ლაბორატორიებს საქართველოში უნდა მიეცეთ დავალება შეისწავლონ ყველა გაცემული ნაკვეთის ფაქტიური დაბინძურება, უნდა შედგეს მიწის ეკოლოგიური დაბინძურების რუქები; რა თქმა უნდა, ამას დრო სჭირდება, მაგრამ საქმის დახანებაც არ ეგების. გლეხმა უდა იცოდეს მის ფართობზე შხამქიმიკატების (ნიტრატების, პესტიციდების და სხვა) დასაშვები დოზა, რომელიც აგრეთვე დროში გამკაცრებადი უნდა იყოს შემდგომში მათი დაყვანით ნორმატულ დონეზე.აქაც ვერაფერს გავაწყობთ შესაბამისი პროგნოზისა და კონცეპტუალური მოდელის გარეშე. ჩვენ გლეხების თაღლით (არა ქართულად მოფიქრალი) ნაწილს უნდა ვებრძოლოთ არა მარტო ბაზარში (შხამქიმიკატებით დაბინძურებული პროდუქტების შემოტანისათვის), არამედ მისსავე ნაკვეთზე - დასაშვები დოზის ზევით მიწის დაბინძურებისათვის. ბუნებრივია, რომ ეს ბრძოლაც უნდა ეყრდნობოდეს ძირითადად ეკონომიკურ ბერკეტებს ანუ საზეგარო ინსპექციების მიერ საგადასახადო სისტემის გამკაცრებას.

არაერთხელ აღნიშნულა, რომ ჩვენი სამშობლოს ლანდშაფტის კონტრასტული მრავალფეროვნება და განუმეორებლობა მომგებიან პირობებს ქმნის ჩვენში ელიტური ტურიზმის, სპორტული კომპლექსებისა და ჯანმრთელობის მსხვილი კერების ფორმირებისათვის ანუ რეკრეაციისათვის. თუ გავითვალისწინებთ მათ განსაკუთრებულ მნიშვნელობას რესპუბლიკის მომავალ სამეურნეო ცხოვრებაში, რეკრეაციული მიწების საერთო ფართობის ოპტიმალურ ნორმად პერსპექტივის გათვალისწინებით შეიძლება მივიჩნიოთ რესპუბლიკის ტერიტორიის 8-10 პროცენტი.

ბუნებათსარგებლობის განსაკუთრებული რეჟიმის დამყარებასა და სახელმწიფო დაცვას ექვემდებარება სტრატეგიული დანიშნულების წიაღისეული სიმდიდრის, არქეოლოგიური ნამარხების, აგრეთვე ბუნების, ისტორიისა და კულტურის ძეგლების განთავსების ტერიტორიებიც; სახელმწიფო ფონდში უნდა შევიდეს სტრატეგიული კულტურების დაკავებული მიწები, საძოვრები, აგრეთვე მიწები, რომლებზეც ფუნქციონირებენ სახელმწიფო სახსრებით აშენებული მელიორაციული სისტემები და სხვა.

ყოველივე, რაც ითქვა, არის ბუნებათსარგებლობის ზოგადქართული, ასე ვთქვათ, ეროვნული მასშტაბის სატკივარის მაგალითები. ბუნებრივია, ასეთი რესპუბლიკური პრობლემები კონკრეტული რეგიონალური საკითხებისგან შედგება. ვეცდები ერთი ასეთი რეგიონალური პრობლემა მიმოვიხილო.

პალიასტომის ტბა თავისი ისტორიული მნიშვნელობით შავი ზღვის უნიკალურ წყალსატევს წარმოადგენს. იგი ხასიათდება მაღალი თევზპროდუქტიულობით; მასში იზრდებოდა ატლანტის ზუთხის (ფორონჯის), კეფალის და სხვა ძვირფას სახეობათა მოზარდი თაობები. ტბა იყო მის ირგვლივ მცხოვრები მოსახლეობის ერთ-ერთი მარჩენალი და მასაზრდოებელი. მტკნარმა წყალმა და ნაჭაობარმა ფსკერმა განაპირობა მასში ტბის ლამის - საპროპელის ინტენსიური განვითარება, რაც თავის მხრივ ტბის წყლებში პლანქტონისა და ბენთოსის ბიომასის სიუხვეს განსაზღვრავდა.

წყალდიდობის დროს, როდესაც კაპარჭინა ვერ ატარებდა მოვარდნილ წყალს, პალიასტომი ხანგრძლივი პერიოდით ტბორავდა ქ. ფოთის აღმოსავლეთ მხარეს. ამ ნეგატიური მოვლენის სალიკვიდაციოდ, 1924 წელს, ჭეშმარიტად რევოლუციური პათოსით, (ყოველგვარი წინასწარი შესწავლისა და გამოკვლევის გარეშე), გაჭრეს სპეციალური არხი პალიასტომის ზღვამდე და ამ ხელოვნური სრუტით ტბა ზღვას დაუკავშირეს. შედეგად ტბის წინანდელმა დონემ ერთი მეტრით დაიწია და ფოთის შეტბორვის პრობლემაც მოიხსნა. მაგრამ ამან გამოიწვია ტბის როგორც მორფომეტრული, ისე ჰიდროდინამიკური, ჰიდროთერმული, ჰიდროლოგიური და ქიმიური მახასიათებლების ცვლილებები შემაშფოთებელ მასშტაბებში. წყლის მარილიანობა ნულიდან თორმეტ-ცამეტ პროცენტამდე გაიზარდა; სრულიად დაირღვა ტბის ჰიდრობიოლოგიური რეჟიმი. პლანქტონის ბიომასა 15-ჯერ, ხოლო ბენთოსისა 6-ჯერ შემცირდა. თევზპროდუქტიულობა შემცირდა 80 პროცენტით; უკიდურესად გაღარიბდა ტბის იხტიო და ფიტოფაუნა; თუ ადრე კეფალის წლიური პროდუქტიულობა 300 ც. აღწევდა, ამჟამად თევზის ეს ჯიში ტბაში პრაქტიკულად აღარ არსებობს: საქმეს ვერ უშველა ვერც ტბის მუდმივ აღკვეთილად გამოცხადებამ, ვერც მისმა შეყვანამ კოლხეთ-პალიასტომის ნაკრძალში, ვერც ჰიდროლოგიური აღკვეთის სტატუსის მინიჭებამ; ვერ უშველა, ჩემი ფიქრით, ერთი კანონზომიერების გამო - ტბას საპატრონოდ და მოსავლელად ყოველთვის მომხმარებელს აბარებდნენ.

უკანასკნელ პერიოდში, სამწუხაროდ, ჭარბად მომრავლდნენ იმათი შთამომავლები, ვინც თავის დროზე პალიასტომის ტბის ლამის ამოღება, მისგან ორგანული სასუქის დამზადება და გაყიდვა მნიშვნელოვანი პრაქტიკული ღირებულების ეროვნულ საქმედ მიაჩნიათ. უკვე შემუშავებულიცაა საპროპელისგან (ტორფთან, ცეოლიტთან ან მარტო მისგან) ორგანული სასუქების დამზადების რეცეპტებიც; გაანგარიშებულია მისი გაყიდვით მიღებული მილიონები. მაგრამ ყველაზე უფრო გასაოცარი ის არის, რომ ასეთ წინადადებათა ავტორები ტბიდან საპროპელის ამოღებას უკავშირებენ ტბის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებასაც. უფრო მეტიც, ისინი მიიჩნევენ, რომ ლამის ამოღებით და ამგვარად ტბის სიღრმის გაზრდით (დაღრმავებით) გაიზრდება თევზპროდუქტიულობა, რომ საპროპელის ამოღებით მოისპობა ტბის ამოლამვის საშიშროება, რასაც ტბის „გაახალგაზრდავებას" ეძახიან და სხვა.

არადა საპროპელის ამოღებით და ტბის დაღრმავებით, კიდევ უფრო მლაშე გახდება მისი წყალი, ვინაიდან ამით კიდევ უფრო შემცირდა (ტბის მასაზრდოებელი მდინარეთა) მტკნარი ჩამონადენის კონცენტრაცია და პირიქით - გაიზრდება ზღვის წყლის კონცენტრაცია. აქედან, ტბის საპროპელით ამოლამვის საშიშროება, (თუ ტბის წყალს არ გავამტკნარებთ და ისევე მლაშეს დავტოვებთ) ღიმილის მომგვრელია. რაც შეეხება თევზპროდუქტიულობის გაზრდას, ესეც უსაფუძვლოა, იმიტომ რომ მტკნარი პალიასტომი ბევრად უფრო პროდუქტიული იყო, ვიდრე ტბის „გაახალგაზრდავებით" სავარაუდოა. სამაგიეროდ, ტბის მოუზომელი დაღრმავებით, მოსალოდნელია ნაპირების წყლისმიერი და ქარისმიერი ეროზიის შემდგომი განვითარება, და ნაპირების გამორეცხვის ინტენსიობის გაზრდა. ტბის „გაახალგაზრდავების" მაგივრად მოხდება მისი „გაწყლიანება", ტბა დაკარგავს თავის ბუნებრივ „სანიტარს" (ვინაიდან ამოღებული ლამი ბაქტერიოციდული თვისებებისაა); სავსებით წაიშლება ზღვარი ტბასა და ზღვას შორის. პალიასტომის სახსენებელიც კი გაქრება და მომავალ თაობებს თავსატეხად დარჩება კითხვა - სად იყო პალიასტომი? ბათუმთან, ფოთთან, სოხუმთან თუ სად? ეს რომ ასე არ მოხდეს, ვფიქრობ, აუცილებელია უკვე შედგენილი პროგრამის „პალიასტომის" მიხედვით კვლევითი, საძიებო, სამეცნიერო-პრაქტიკული თუ საპროექტო სამუშაოების ჩატარება მინიმუმ ორი წლის განმავლობაში. აქ გამოწვლილვით, ყველა ნიუანსის გათვალისწინებით უნდა დამუშავდეს ყველა შესაძლებელი ვარიანტი, გაანალიზდეს და გაითვალოს ყოველი, შეირჩეს ოპტიმალური ვარიანტი. ამასთან პალიასტომის გადარჩენისა და ათვისების შერჩეული გეგმა მომგებიანად უნდა შეეთანაწყოს კოლხეთის ათვისების ერთიან პროგრამას და საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების კონცეპტუალურ მოდელს. მხოლოდ ამის შემდეგ, (თუ ეს ანალიზი მისაღები იქნა) შესაძლებელი გახდება დავიწყოთ საპროპელის ამოღება, ოღონდ ამოღება მინიმალური დოზით, მისი შემდგომი ყოველწლიური გაზრდით საანგარიშო მოცულობამდე. და თუ პრაქტიკა თეორიულ გამოთვლებს დაადასტურებს, მორალური უფლება გვექნება განვაგრძოთ საპროპელის ამოღება. ეს არის ერთადერთი სწორი გზა - ბუნებათსარგებლობის არსიცა და მიზანიც.

დარწმუნებული ვარ, ყველაფერზე, რაც ითქვა, საუბარი არ იქნებოდა, რომ ამდაგვარ საქმეებში პროფესიონალი ეკოლოგები ყოფილიყვნენ ჩართულნი, რომლებიც დღეს პრაქტიკულად ჩრდილში აღმოჩნდნენ. პროფესიონალიზმზე საუბრისას უნდა აღინიშნოს, რომ დღეს პოლიტიკა, ეკონომიკა და ეკოლოგია საყოველთაო-სახალხო მსჯელობის საგანი გახდა, სადაც ყველას, ვინც არ უნდა იყოს, თავი პროფესიონალი ჰგონია. კარგია, როცა ამ მიმართულებით მწვავე დებატები პოლიტიკური, ეკონომიკური, ან ეკოლოგიური კულტურის საერთო დონის ამაღლებას იწვევს. მაგრამ როდესაც ეს ასე არ არის და მწვავე სიტყვიერი ან სხვაგვარი შეხლა-შემოხლა მხოლოდ თვითმიზანია, მაშინ უკეთესი იქნება ყველამ თავისი საქმე აკეთოს, აკეთოს ის, რის გაკეთებაშიცაა [illegible] და განსწავლული. ჩემი გაგებით პროფესიონალი ეკოლოგი სულაც არ ნიშნავს კარგ, თუნდაც ბრწყინვალე გეოლოგს, იხტიოლოგს, ინჟინერს, ფიზიკოსს, ბოტანიკოსს, ქიმიკოსს და სხვას ცალკე აღებულს. თუმცა ყველას და თითოეულს გარკვეული აუცილებლობით განსაზღვრული ურთიერთობა აკავშირებს ბუნებასთან. პროფესია არის საწყისი ეტაპი, ასე ვთქვათ, აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობა, ვინაიდან ეკოლოგია არის ყველა ზემოთ მითითებული და კიდევ სხვა მრავალი მეცნიერების კრებითი მოძღვრება. პროფესიონალი ეკოლოგი უნდა იყოს ყველა ზემოაღნიშნული დარგის იმდენად მცოდნე (ყოველშემთხვევაში, ზოგადერუდიციაზე უფრო ღრმად მცოდნე), რომ საჭიროების შემთხვევაში შეძლოს დარგის ინტერესთაკოორდინირება გარემოს დაცვისა და რაციონალური ბუნებათსარგებლობის მიზნით კოორდინირება და არა ადმინისტრირება. ეს კი ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც კარგი სპეციალისტი ან მეცნიერი ვთქვათ არა ნაკლებ 7-8 წლის განმავლობაში მაინც ინტერესით მუშაობს პრაქტიკულ ბუნებათსარგებლობაში. ასეთ დროს ერთ პიროვნებაში ხდება დარგთაშორისი განათლების სინთეზი მრავალდარგობრივ ცოდნასთან და ზოგად ერუდიციასთან, რომელსაც პროფესიონალი ეკოლოგი ჰქვია და რაც სამწუხაროდ, დამაფიქრებელი იშვიათობაა. ყველა სხვა შემთხვევაში სპეციალისტები ან მეცნიერები, ხატოვნად რომ ვთქვათ, მხოლოდ თავისი დარგის სამრეკლოდან რეკენ ზარებს, სანამ ცოდნის მითითებულ აღნიშნულ სინთეზამდე მიაღწევენ საკმარისი დრო სჭირდებათ. ამაში თუნდაც საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების მიერ ორგანიზებულმა სამეცნიერო-პარქტიკული ექსპედიციების მუშაობამაც დაგვარწმუნა.

ამაზე ამდენს იმიტომ ვსაუბრობ, რომ (როგორც პრესაში გამოქვეყნებული სახელმწიფოს მიერ მიღებული დოკუმენტაციებიდან სჩანს) დღევანდელი მთავრობის გვერდითაც პროფესიონალი ეკოლოგების სიმცირე იგრძნობა. საერთოდაც შეიმჩნევა ეკოლოგის შეუფასებლობა და „მივიწყება". ჯერ კიდევ 1990 წლის 8 დეკემბერს (თითქმის საპარლამენტო კომისიების ჩამოყალიბებისთანავე) გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელში" ამ საკითხზე გამოვთქვი ანალოგიური კრიტიკული შენიშვნები. საერთოდ, დროა წესად შემოვიღოთ - ბუნებასთან თუნდაც რამდენადმე მიმართებაში მყოფი სახელმწიფო მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტაში აუცილებლად უნდა მონაწილეობდნენ პროფესიონალი ეკოლოგები.

მე მოუთმენლად ველი პარლამენტის არჩევნებს და მჯერა, რომ ახალი პარლამენტი მაინც შექმნის დამოუკიდებელ საპარლამენტო ეკოლოგიურ კომისიას, დაკომპლექტებულს პროფესიონალი ეკოლოგებით; კომისიას, რომელსაც უნარი ექნება მოამზადოს და პარლამეტს დასამტკიცებლად წარუდგინოს კანონთა პაკეტი, დასაწყისისათვის ვთქვათ, კანონი - „ბუნების დაცვის შესახებ", მოამზადებს აგრეთვე, სხვა საკანონმდებლო აქტებს, ვთქვათ, „განსაკუთრებით დასაცავი ტერიტორიების შესახებ", „მცენარეული სამყაროს დაცვისა და რაციონალური გამოყენების შესახებ" და სხვა; საკანონმდებლო აქტებიდან გამომდინარე მოსამზადებელია ნორმატული აქტების პროექტები და სხვა ყველაფერს ამას არამხოლოდ ეკოლოგიური, არამედ სოციალური და პოლიტიკური მნიშვნელობაც აქვს. ვიმეორებ, ეს არ არის მხოლოდ იურისტთა (თუნდაც ბრწყინვალე) ჯგუფის საქმე. ეს უნდა იყოს მრავალი დარგის სპეციალისტთა ერთობლივი ძალისხმევის და კოლექტიური აზროვნების შედეგი.

რაც შეეხება ბუნების დაცვის სამინისტროს (იგი თავად უნდა იყოს პროფესიონალი და ღრმად ერუდირებული ეკოლოგების სამჭედლო) მან უნდა წარმართოს და კოორდინირება (ვიმეორებ კოორდინირება) გაუწიოს ფაქტიურად მთელ პრაქტიკულ ბუნებათსარგებლობას საქართველოში. ვინაიდან ბუნება ერის არამარტო საუნჯეა, არამედ მისი სულიერი სამყაროს მახასიათებელიცაა და შინაგანი „მეს" უპირველესი განმსაზღვრელი - ბუნ დაცვას საქართველოში განსაკუთრებული პრიორიტეტული ადგილი უნდა მიენიჭოს. გამომდინარე აქედან, აგრეთვე იქიდან, რომ ბუნება მოიცავს თითქმის ყველა დარგსა და სფეროს, მიმაჩნდა და მიმაჩნია, რომ საქართველოს რესპუბლიკის ბუნების დაცვის მინისტრი იმავდროულად უნდა იყოს პრემიერ-მინისტრის მოადგილე, რითაც უდაოდ გაიზრდება ამ სამინისტროს ფაქტიური ძალმოსილება. ჩემის აზრით, ნაკლებ ეფექტურია სამინისტროს კონტროლის სამსახურის გამრავალრიცხოვნება, ვინაიდან დღეს საქართველოში არ არსებობს ამ სამსახურების გადაწყვეტილებათა აღმსრულებელი ძალა. მილიციას, ურჩენოდაც უჭირს. ვფიქრობ, დროა შეიქმნას ეკოლოგიური პოლიცია (მინისტრის აღნიშნულმა სტატუსმა ამას ხელი უნდა შეუწყოს).

შეჯამების მაგიერ მოვახდენ ერთი ფაქტის კონსტატირებას. ცნობილია, რომ საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი (ყოფილ საბჭოთა კავშირშიც კი მიღებულ) სილატაკეს ზღვარს ქვემოთ პირობებში ცხოვრობს. ჩვენზე უკეთ ვის მოეხსენება ჩვენივე ეკონომიკური უსახოობა და დამშეული ყოფიერება. დიახ, ეს ასეა, მაგრამ ეს მდგომარეობა არ უნდა ვაქციოთ ხვალინდელი, კიდევ უფრო დიდი ტრაგედიის მიზეზად. ეკონომიკური, გნებავთ ეროვნული ხსნის „მისია", არ უნდა გავხადოთ საბაბი ბუნებაზე გლობალური შეტევისა. ამბობენ, პალიასტომის ტბის ლამისგან დამზადებული ორგანული სასუქის 1 ტონა 150 დოლარი ღირსო; საზღვარგარეთული ოქროს ბრჭყვიალებამ არ უნდა დაგვიბნელოს თვალები. გავიხსენოთ, ბუნებრივი რესურსებით რამდენად მდიდარი სამშობლო გადმოგვცა ამ საუკუნის დასაწყისში დემოკრატიულმა საქართველომ (აქ მარტო ტერიტორია, ან, ვთქვათ, მარგანეცი, ან ტყე არ მაქვს მხედველობაში); გავიხსენოთ, თუ როგორ, მართლაც ზემასშტაბური ბოლშევიკური შემართებით შეიმუსრა და თითქმის სრულად განადგურდა ყოველი, რაც წაგვადგებოდა. როგორ გამწარებითა და წყევლით ვიგონებთ ამას.

მაგრამ, განა თვითონ ჩვენ დავაკლეთ მეცადინეობა ბუნებრივ სიმდიდრეთა შემუსვრის საქმეს? განა ჩვენ გავუფრთხილდით იმას, რაც გადმოგვცეს წინაპრებმა? განა ჩვენ არ ვიყავით, თავდავიწყებით რომ გაგვქონდა ყოველი, ოღონდ „როგორლაც" გაგვეძლო? განა დღეს „ერის გადარჩენის" მიზნით არ ვეჯიბრებით ერთმანეთს იმ ნაფუჩხვენების გაყიდვის მცდელობაში, რაც ჯერ კიდევ შემოგვრჩა? ნიშნავს თუ არა ეს, რომ ჩვენ უკვე ვცხოვრობთ სესხით? სესხით მომავალი თაობებისაგან, მათი ინტერესების ხარჯზე.

ვიმეორებ, რომ ბუნება ერის შინაგანი „მეს" განმსაზღვრელი და სულიერი სამყაროს საუნჯეა, რომ საქართველოს ბუნების დაცვა ზნეობრივი კატეგორიაა. ეს არის ჩვენი კრედო, ჩვენი რწმენა. აქედან გამომდინარე, იმედი გვაქვს საქართველოს ეკლესიის მორალური შემწეობისა და თუ ასეც იქნა, აღარც ღმერთი გაგვწირავს.

# ქუჩაში, მტვერში...

(მცირე რამ მწერალთა XI ყრილობის
გარე და შიდა ამბებთან
დაკავშირებით)

25 მარტს, თბილისში, ჭადრაკის სასახლეში საქართველოს მწერალთა ყრილობის მიმდინარეობის დროს, გარეთ საჯაროდ დახიეს წიგნები.

ქართული წიგნები.

ქართველებმა დახიეს.

ამ აქტით გამოხატეს ბატონ ზვიად გამსახურდიას მხარდაჭერა და პროტესტი „თოფიანი, სისხლიანი მწერლების" წინააღმდეგ.

დახიეს, დაფხრიწეს, სისხლიანი სალებავით დათხვარეს და ქუჩაში, მტვერში მოისროლეს.

ნაირა გელაშვილის, იზა ორჯონიკიძის, აკაკი ბაქრაძის, ოთარ ჭილაძის, ჯემალ ქარჩხაძის, გურამ ფანჯიკიძის, გურამ გეგეშიძის, რევაზ მიშველაძის, ჭაბუა ამირეჯიბის, თამაზ წივწივაძის, ჯანსუღ ჩარკვიანის, მურმან ლებანიძის, ტარიელ ჭანტურიას, არჩილ სულაკაურის, რევაზ ჯაფარიძის, მიხეილ ქვლივიძის, მორის ფოცხიშვილის, თეიმურაზ ჯანგულაშვილის (ამას მაინც რას ერჩოდნენ!), შოთა რუსთაველის (ნოდარ ნათაძის სასკოლო გამოცემა) და სხვათა წიგნები.

როგორც ნაირა გელაშვილი იტყოდა, აქ, „ჩიტ-კორესპონდენტი" მოიყვანდა ფაშისტური გერმანიის, მაოისტური ჩინეთის მაგალითებს, სადაც ასევე ანადგურებდნენ (წვავდნენ) არასასურველ მწერალთა წიგნებს. შენიშნავდა, რომ ის, რაც ვერეს ბაღში მოხდა, არის უკულტურობა, ბარბაროსობა, ვანდალიზმი, რომ ეს არ არის პოლიტიკური ბრძოლა, რომ თავი მოგვეჭრა უცხოეთში, და საერთოდ, როგორ შეიძლება ასეთი ამბავი მოხდეს საქართველოში, „პოეზიის ქვეყანაში", იქ, სადაც „ყოველი ქართველი პოეტია!", სადაც „წიგნს („ვეფხისტყაოსანს") მზითევში ატანდნენ", სადაც „მწერლობა მუდამ იყო და არის ერის მედროშე" და ა.შ.

შეიძლება.

შეიძლება იმიტომ, რომ საქართველო სამწუხაროდ აღარაა „პოეზიის ქვეყანა" და ა.შ.

და საერთოდ, კაცმა რომ თქვას, წიგნების დახევა მაინცდამაინც დიდად მოულოდნელი, გასაკვირი და „შესაცხადებელი" არ უნდა იყოს ყოველივე იმის შემდეგ, იმის „ფონზე", რაც ბოლო დროს საქართველოში მოხდა და ხდება (აღარ





შევეხები ლამის საყოველთაო ურთიერთდაუნდობლობის, გაუტანლობის, აბსურდამდე მისულ სიძულვილის იმ ატმოსფეროს, ჩვენს ქვეყანაში რომ მეღროშეობს).

„შეცხადება", „ხმის ამოღება" მაშინ უფრო გვმართებდა, როცა ამ, მართლაც ბარბაროსულ აქტს ეყრებოდა საფუძველი, როცა მწერალი მკითხველს ეუბნებოდა, შთააგონებდა, „საქართველოში მწერალი სძულთ!"-ო, როცა საჯაროდ წიგნების დაწვას მოითხოვდნენ, როცა ერის სასიქადულო შვილებს (გარდაცვლილებს თუ ცოცხლებს) მეთოდურად სვრიდნენ ტალახში, როცა ბატონ ტარიელ ჭანტურიას გამოთქმას თუ ვიხმართ, „სიძულვილის მწერლობა" და „სიძულვილის მწერლები" იწყებდნენ აღზევებას, როცა... რა მოსთვლის მსგავს „როცა"-ს..

შემდეგ კი ამ ხალხმა (წიგნებთმებრძოლებმა) გააკეთა ის, რისთვისაც ამზადებდნენ, უბიძგებდნენ (და დღესაც უბიძგებენ — გავიხსენოთ გროზნოში ჩატარებულ საქართველოს უზენაესი საბჭოს „სესიაზე" ბ-ნ გამსახურდიას მოწოდება, საქართველოში საპროტესტო აქციების გაშლის თაობაზე)...

დავუბრუნდეთ „ჩიტ-კორესპონდენტს" და შემდგომ მოვლენებს.

სად იყო და სად არა, მოგრიალდნენ ფორმიანი და უფორმო გვარდიელები(?), რომლებმაც ავტომატების ჰაერში სროლით, ორიოდე მომიტინგის მანქანებში ყოჩაღად შეტენვით „დაიცვეს" მწერლები და მწერლობა (სროლასთან დაკავშირებით - მშვიდობიანი მოსახლეობის სახელით მოვითხოვთ მსგავსი ოპერაციებისას მეავტომატეებმა რაც შეიძლება ვერტიკალურადლულით ზევით — იხმარონ იარაღი, უბედური შემთხვევა რომ არ მოხდეს).

ბათქა-ბუთქს კარგად შეჩვეული მხეველები და მათი არათუ მრავალრიცხოვანი გულშემატკივრები ცოტა კი დაფრთხნენ, მაგრამ არ დაიფანტნენ, პირიქით, გვერდი აუარეს მოწმეებად მდგარ მილიციელებსა და მათ მანქანებს და შესვენებაზე ჩამოსულ მწერლებთან შიგადაშიგ გაწევგამოწევაში გადაზრდილი არალიტერატურული პაექრობა გააჩაღეს...

რაც შეეხება ყრილობას.

თითო-ოროლა გამონაკლისს თუ არ მივიღებთ მხედველობაში, ყრილობამ ჩაიარა ჩვენი მწერლებისათვის ჩვეულ ურთიერთგაგებისა და გულითადობის ვითარებაში.

მოწყენილობაშეპარულ დარბაზში დროდადრო გამოცოცხლება შეჰქონდა კინაღამატეხილ კამათს, მწერალთა კავშირის წევრი უნდა იყოს თუ არა მწერალიო; საკითხის დასმის წესით დაყენებულ წინადადებას, სირცხვილია, ასე მცირე საწევრო, ამ ფულით ხომ ას გრამ ოხრახუშსაც ვერ იყიდიო და ამასთან დაკავშირებით ასევე საინტერესო თამაზ წივწივაძის შინაურულად ნათქვამ წინადადებას, „ქუთაისელმა მწერლებმა ოხრახუშით გადაიხადონ საწევროო". მთელ დარბაზს განსაკუთრებით მოეწონა ბატონ კარლო კობერიძის განცხადება, „რავა ერთი და იგივე ხალხისთვის ისროლა „ავრორამაც", როდიონოვმაც და კიტოვანმაცო"..

საერთოდ კი, ყრილობაზე ბევრი რამ საინტერესო და საყურადღებო მოხდა. სამწუხაროდ, საგაზეთო ფართის შეზღუდულობის გამო მათ ვერ ვეხებით.

ამასობაში, გარეთ მკითხველებმა ყდაშერჩენილი წიგნები და ფურცელდაკარგული ყდები სამახსოვროდ, სასუვენიროდ წამოკრიფეს წიგნების სასაფლაოდან...

გაზაფხულის ნაზი სიო ნელ-ნელა ფანტავდა თეთრ და სისხლისფერ ფურცლებს...

ფელიქს კოჟიაშვილი

P.S. სხვათაშორის, წიგნის შესახებ უთქვამთ: „თუ რამეს წაიკითხავ, წაკითხულიდან შეითვისე მთავარი აზრი. ასე ვიქცევი მეც: რაც წავიკითხე, იქედან უთუოდ რაღაცას აღვნიშნავ.

მე არ ვთაკილობ ზოგჯერ მტრის ბანაკშიც შესვლას, არა ხიზანის, არამედ მზვერავის სახით" (სენეკა).

„გიყვარდეთ წიგნი, ის შეგიმსუბუქებთ ცხოვრებას, მეგობრულად დაგეხმარებათ გაერკვეთ აზრების, გრძნობების, მოვლენების ჭრელსა და ბობოქარ დომხალში, ის გასწავლით ადამიანისა და საკუთარი თავის პატივისცემას, ის ფრთებს ასხამს გულსა და გონებას ქვეყნიერების, ადამიანის სიყვარულით" (გორკი)


**გეძლევათ შესაძლებლობა დააფუძნოთ თქვენი ბანკი!**

ქ.თბილისში იქმნება საქართველოში ყველაზე მსხვილი სააქციო კომერციული ბანკი

## კერძობანკი

ბანკის დამფუძნებელი შეიძლება გახდეს ნებისმიერი მოქალაქე ან არასახელმწიფო სექტორის ნებისმიერი საწარმო თუ შეიძენს ერთ აქციას მაინც, რომლის ნომინალური ღირებულება 50 ათასი მანეთია. შეძენილი ერთი აქცია დამფუძნებელს აძლევს ერთი ხმის უფლებას.

**კერძობანკი**: აიძულებს თქვენს მიერ ბანკის დასაფუძნებლად ჩადებულ უკიდურესობამდე გაუფასურებულ საბჭოთა მანეთს „იცოცხლოს", უფრო მეტიც „იმუშაოს" მაქსიმალური უკუგებით.

**კერძობანკი** იქნება: თქვენი და თქვენი ოჯახის, თქვენი შთამომავლობის ბანკი; თქვენი კომერციული საქმიანობის ღირსეული პარტნიორი; თქვენი საქმიანობის გარანტირებული მესაიდუმლე.

**კერძობანკში**, წინასწარ გაანგარიშებით ბანკის სპეციფიური სტატუსიდან და საქმიანობის პირობებიდან გამომდინარე, დამფუძნებლების დივიდენდის ოდენობამ შეიძლება მიაღწიოს 52 პროცენტს.

გირჩევთ იჩქაროთ, რადგან ბანკის საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია.

გელოდებით ყოველ სამუშაო დღეს **11-დან 15 საათამდე მისამართზე: 380086, ქ.თბილისი, სანდრო ეულის ქ. № 1.** (ვაჟა-ფშაველას გამზირის ბოლოს).

საკონტაქტო ტელეფონი: **31-17-85, 93-49-66**

ყოველ ხუთშაბათს, 15 საათზე შესაძლებლობა გექნებათ შეხვდეთ საინიციატივო ჯგუფს სრული შემადგენლობით.

**საინიციატივო ჯგუფი**



**გეძლევათ შესაძლებლობა დააფუძნოთ თქვენი ბანკი!**

## კერძობანკი

ქ.თბილისში იქმნება სააქციო-კომერციული ბანკი.

ბანკის დაფუძნების შესაძლებლობა ეძლევა მხოლოდ მოქალაქეებსა და არასახელმწიფო სექტორის საწარმოებს.

ერთი აქციის ნომინალური ღირებულება 50 ათასი მანეთია. შესაძლებელია რამდენიმე მოქალაქე ან იურიდიული პირი - შეამხანაგდეს და შეიძინოს ბანკის ერთი აქცია. ერთი აქცია დამფუძნებელს აძლევს ერთი ხმის უფლებას.

წინასწარი გაანგარიშებით, კერძობანკის დამფუძნებელი აქციონერის დივიდენდის სიდიდემ მოსალოდნელია მიაღწიოს შეძენილი აქციების საერთო ღირებულების არანაკლებ 52 პროცენტს, მათ შორის ნაწილი კონვერტირებული ვალუტით.

გწამდეთ, რომ კერძობანკი იქნება: თქვენი, თქვენი ოჯახის, თქვენი თაობების ბანკი; თქვენი კაპიტალის ზრდის უშრეტი წყარო; თქვენი საქმიანობის ღირსეული პარტნიორი და გარანტირებული მესაიდუმლე; თქვენი მაღალპროფესიული მრჩეველი.

გირჩევთ გახდეთ კერძობანკის დამფუძნებელი.

გელოდებით ყოველ სამუშაო დღეს **11-დან 15 სთ-მდე** მისამართზე:
**ქ.თბილისი,
სანდრო ეულის ქ. № 1
(ვაჟა ფშაველას გამზირის ბოლოს).
ტელ: 31-17-85,
93-49-66**

საინიციატივო ჯგუფის სრულ შემადგენლობასთან შეხვედრის შესაძლებლობა გექნებათ ყოველ ხუთშაბათს 15 სთ-ზე.

გირჩევთ იჩქაროთ, რადგან ბანკის საწესდებო კაპიტალის სიდიდე და მისი განაღდების დრო ძალიან შეზღუდულია.

**საინიციატივო ჯგუფი**



ინდექსი 66447

ფასი 2 მან.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის პრ. № 35 ტელ. 22-16-01
გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.
შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

რედაქტორი ნოდარ ბრიგალაშვილი